ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 ივლისი, 2019 №155 (8109) ფასი: 60 თეთრი

## ნიკა მელიას ელექტრონულ სამაჯურს გაუკეთებენ

სააპელაციომ გირაო ძალაში დატოვა



გვ.7

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# „ივანიშვილს უნდა, ხელისუფლება ბოკერიას გადააბაროს“





გვ.2

## ემზარ კვიციანი: „20 ივნისის ღამეს „ევროპული საქართველო“ უკვე თეთრ ცხენზე იჯდა“

## „გავრილოვს ვეხუბე და ვუთხარი, სააკაშვილი თქვენი აგენტია-მეთქი“





გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება მელიასგან სერიოზულ ლიდერს ქმნის“

„როგორც კი „ოცნება“ ძალაუფლებას დაკარგავს და ივანიშვილი ჩამოშორდება, დაიშლება“

## დავითგარეჯი აზერბაიჯანის საკუთრებაში გადადის?



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი-ალიევის გარიგება საფინალო ფაზაში შედის“

## „ოცნება“ პროპორციულ სისტემაშიც, შესაძლოა, უმრავლესობაში აღმოჩნდეს“

რას ფიქრობენ ვახტანგ ძაბირაძე და ვახტანგ ხმალაძე



გვ.4



## კახა კორძაძე: „3%-იანი ბარიერი უკეთესი იქნება“



გვ.5

## რას ნიშნავს რუსეთის ახალი განცხადებები საქართველოს შესახებ?

## პეტრე მამრაძე: „ქვეყანაში რაც ხდება, „ოცნების“ პოლიტიკური იდიოტიზმის გამოვლინებაა“



გვ.6

### სამართალი

გვ.7



„სვეტის“ დამფუძნებელ გივი ჯიბლაძეს 8 წელი მიესაჯა, თორნიკე ჯანელიძეს — 6,5



„ბიჭები ხელფასის აღებას აღნიშნავდნენ, წყალში გადახტა და გული გაუსკდა“

რა მოხდა გურიაში



შეკვეთილში სამხედროებით სავსე მიკროავტობუსი გადაბრუნდა

14 ჯარისკაცი დაშავდა

ISSN 1987-9385

**5** მიშა მშვილდაძე: „ზაქარია ქუცნაშვილს ვეუბნები, რომ არც ერთ ძალას არ წარმოვადგენ“

**2** სალომე სამადაშვილი: „ნულოვანი ბარიერი და ბლოკებად გაერთიანების აკრძალვა პოლიტიკური სპექტრის დანაწევრებას შეუწყობს ხელს“

**5** თორნიკე შარაშენიძე: „ნიკა მელია მიხვდა, რომ მისი დაჭერა გადაიფიქრეს და სულაც აღარ ეშინია“

**8** რუსული წყალქვეშა აპარატი დაიწვა

დაიღუპა 14 მეზღვაური

# „ივანიშვილს უნდა, ხელისუფლება ბოკერიას გადააბაროს“

## ემზარ კვიციანი: „20 ივნისის ღამეს „ევროპული საქართველო“ უკვე თეთრ ცხენზე იჯდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის ნიკა მელია ნაცთა შორის ყველაზე ნაკლები ნაცი, ვინ ცდილობდა მის შეცდომაში შეყვანას, ვინ აპირებდა სინამდვილეში პარლამენტში შეჭრას, რა ჩაიფიქრეს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის წევრი, პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი **ემზარ კვიციანი** ესაუბრება.

***– ალბათ ვერც თქვენ და ვერც საზოგადოება ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ნაციონალები თქვენზე გადაირეოდნენ. არადა, ასე მოხდა, მას შემდეგ, რაც ნიკა მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნას მხარი არ დაუჭირეთ, ნაცმოძრაობა გადაირია თქვენზე.***

– ნაციონალების გადასარევად არაფერი გამიკეთებია და არც მომავალში გავაკეთებ. ამ შემთხვევაში ნიკა მელიაზე იყო კონკრეტულად საუბარი და ძალიანაც კარგი გავაკეთე, რომ მისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარი არ დავუჭირე.

მოდით, პირდაპირ გეტყვით, რომ 20 ივნისის მოვლენებში ნიკა მელია მხოლოდ შუაშია გარეული და, თუ დაჭერაზე მიდგა საქმე, მაშინ ჯერ ისინი დაიჭირონ, ვინც ამ ამბების თავში იყო.

ვინც ეს ყველაფერი დაგეგმა და საქართველო ლამის სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, მათზე ხმის ამოღებასაც ვერ ბედავენ. ასე არ შეიძლება.

ხელისუფლება ასევე დუმს იმაზე, თუ რა ზარალი მიიღო ამ ავანტიურიდან საქართველომ.

ხომ იძახიან, რომ რუსეთი ოკუპანტია და მტერია, იმით, რაც თბილისში მოხდა, იხეირა რუსეთმა, აქედან ასეთი დასკვნა უნდა გაკეთდეს – ეს პროვოკაცია დაგეგმა და განახორციელა მოსკოვმა.

კრემლმა თავისი გეგმა ქართველების ხელით გააკეთა. ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლია იმ ხალხის გაშიფვრა, ვინც მოსკოვთან არის ალიანსში.

პირდაპირ და ხმამაღლა ვამბობ, რომ რუსებთან ალიანსში არიან ნაცები ანუ ბოკერიას ხალხი.



***– ბოკერიას ხალხს ახლა „ევროპული საქართველო“ ჰქვია.***

– როგორი საქართველოც არ უნდა დაირქვან, ეგენი არიან ნამდვილი ნაცები. ნაციონალურ მოძრაობაში ახლა რომ ნაცები არიან, ეგენი ყველაზე ნაკლები ნაცები არიან და მინდა, რომ ეს ყველამ იცოდეს. ბოკერია და მისი ხალხი კი ნამდვილი ნაცები არიან.

და აი, ეს ნამდვილი ნაცები, ანუ ბოკერიას ხალხი, აპირებდა იმ მძიმე ღამეს არეულობის მოწყობას.

***– ეგენი რანაირად აპირებდნენ, გიგა ბოკერიამ იმ ღამესვე დაგმო ძალადობრივი მოწოდებები. მანვე დაგმო ნიკა მელიას განცხადება.***

– დაგმო, არა? ამ დროს ყველაფრის უკან თავად დგას. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს მისი ხალხის ორგანიზებულია. საკუთარი დანაშაულის დამალვის საუკეთესო საშუალება ამ დანაშაულის სხვისთვის დაბრალებაა.

არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ნიკა მელია წააქეზეს, შეცდომაში შეიყვანეს და დღეს ყველაფერს მას აბრალებენ.

***– ვის უნდა წაექეზებინა ნიკა მელია?***

– ბოკერიას ხალხს.

***– მელია პატარა ბავშვია, ვერ მიმხვდარიყო, რომ აქეზებდნენ?***

– ნიკა მელია ბავშვი არ არის, მაგრამ არის ახალგაზრდა. მაგ ასაკში ადვილად შეიძლება, ადამიანი წააქეზო. მეც ზუსტად მაგ ასაკში მაქეზებდნენ.

***– თქვენ ვინ გაქეზებდათ?***

– ბევრი ვინმე მაქეზებდა. ეს 15-20 წლის წინ იყო. ახლა ამის გახსენების დრო არ არის, თუმცა ამის დროც მოვა.

მეც ვყოფილვარ წაქეზებული და ამიტომ კარგად მესმის ნიკა მელიასი. ამ ბიჭმა მართლა გააკეთა განცხადება პარლამენტში შესვლაზე, მაგრამ განცხადების შინაარსსაც ხომ გააჩნია. ამ ახალგაზრდამ თქვა, მშვიდობიანად და აწეული ხელებით შევიდეთ ეზოშიო.

ახლა აქეთ მხარეს გადმოვიხედოთ, აქაც მხოლოდ ერთ ადამიანზე უნდათ ჯოხის გადატეხა. მხედველობაში გახარია მყავს.

***– გახარიამ არ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც მოხდა?***

– დამნაშავე თუ არის, ცხადია, უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ამ გახარიათი რომ დაიწყეთ, უშიშროებას რატომ არ სთხოვთ პასუხს.

***– იმათ რაზე მოვთხოვოთ პასუხი?***

– იმაზე, რომ საქმე აქამდე მივიდა. მომხდარმა საქართველო პოლიტიკურადაც დააზარალა და ეკონომიკურადაც.

ისიც აშკარაა, რომ ვიღაცებს ძალიან არ უნდოდათ, რომ საქართველოს რუსეთთან მოეგვარებინა ურთიერთობები. არადა, ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო. ცოტაც და რუსეთთან საერთო ენას გამოვნახავდით, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნებაში დაგვეხმარებოდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ახლა ერთმანეთს რომ ასწრებენ გავრილოვის ლანძღვას, ეგენი არ იხვეწებოდნენ, მართლმადიდებელი ქვეყნების ასამბლეა საქართველოში ჩატარდესო? არ იცოდნენ, რომ ამ ასამბლეაში რუსეთიც მიიღებდა მონაწილეობას?

ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ წინასწარ ჰქონდათ პროვოკაცია დაგეგმილი. ჯერ




### „გავრილოვს ვეჩხუბე და ვუთხარი, სააკაშვილი თქვენი აგენტია-მეთქი“

შემოიტყუეს და სპიკერის სავარძელში ჩასვეს გავრილოვი და მერე ატეხეს ერთი ამბავი. ეს კაცი სპიკერის სავარძელში თავისი ნებით არ ჩამჯდარა.

ახლა ვსვამ კითხვას, ვინ წააგო ამით? პასუხსაც თავად გეტყვით – ქართულმა სახელმწიფომ. ახლა ისიც ვთქვათ, ვინ მოიგო. ვინ მოიგო და იმან, ვინც თეთრ ცხენს შეახტა, მაგრამ თავისი უტვინობით უკან ჩამოვარდა.

***– ქარაგმებით რატომ გველაპარაკებით, პირდაპირ გვითხარით, ვინ შეახტა თეთრ ცხენს?***

– ბოკერიასა და ნაციონალების მეტი ვინ შეახტებოდა. შსს-ს სათანადო რეაგირება რომ არ მოეხდინა, ეგენი უკვე თეთრ ცხენზე ისხდნენ და, დიდი ალბათობით, ხელისუფლების სათავეშიც მოვიდოდნენ.

ამაში მათ ხელი „ქართულმა ოცნებამაც“ შეუწყო. ხელისუფლებაში რომ მრავლად არიან ჩანერგილები, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

აქ უნდა კარგი გამოძიების ჩატარება. დარწმუნებული ვარ, ქუცნაშვილიც უდანაშაულო აღმოჩნდება, კობახიძეც და გახარიაც. იმ ახალგაზრდებზე საერთოდ არაფერს ვამბობ, 20 ივნისის ღამეს ქუჩაში რომ გამოცვივდნენ.

ნერვები მეშლება ამ უსამართლობაზე – ბავშვები დასახიჩრდნენ, მელიას იმუნიტეტი მოუხსნეს, გახარიას გადადგომას ითხოვენ და ამ ყველაფრის დამგეგმავები განზე, მშრალად დარჩნენ.

კიდევ კარგი, ნიკა მელია დროზე მიხვდა, რომ ბოკერიას გუნდს მისი გამოყენება სურდა და გვერდზე გადგა.

***– სად გადგა გვერდზე?***

– ხომ თქვა, მშვიდობიანად შევიდეთო. მალევე დაინახა, რომ იქ რაღაც საეჭვო პროცესები დაიწყო, გამოეცალა იქაურობას და აღელვებულ ხალხს წინ დაუდგა, ხელებსაც იქნევდა, წინ არ წახვიდეთო. ამას ხმამაღლა არ იტყვის, მაგრამ მას კინაღამ ყულფში გააყოფინეს თავი.

მედიამაც ცოტა აქტიურად უნდა იმუშაოთ ამ მიმართულებით. მაინტერესებს, სად არის ის კადრები, სადაც ჩანს, თუ როგორ შევუვარდი პარლამენტში გავრილოვს.

***– იქ ნაცებს არ შეუვარდით?***

– ნაცებსაც შევუვარდი და გავრილოვსაც. რატომ მალავენ იმ კადრებს, სადაც ვყვირივარ, ნაცები და გავრილოვი ერთნი ხართ-მეთქი.

***– თქვენი ჩხუბის კადრები აჩვენეს, მაგრამ იქ ჩანს, რომ რუსულ დელეგაციას იცავთ.***

– რატომ დავიცავდი რუსებს? სპეციალურად გააშუქეს ასე, უნდოდათ, რუსეთუმედ გამოვეჩინე. კარგი იქნება, „ახალი თაობის“ მკითხველმა მინდა იცოდეს, რომ მაგრად ვეჩხუბე გავრილოვს.

***– ჩხუბი რაში გამოიხატა?***

– პირში მივახალე, რაც ახლა საქართველოს პარლამენტში ხდება, მოსკოვის დაგეგმილია და, არ არის გამორიცხული, კრემლმა შენ გაგწირა-მეთქი. ისიც მივახალე, სააკაშვილი თქვენი აგენტია-მეთქი. სხვა რუსებმა კი უარყვეს ეს, მაგრამ მე დოკუმენტურად დავუმტკიცე., კიდევ ბევრი გვარი დავუსახელე გავრილოვს.

***– რუსმა დეპუტატმა რაო?***

– სხვათა შორის, დამეთანხმა.

***– მართალი ხარო, გითხრათ?***

– ეგ არ უთქვამს, მაგრამ თავისი ვიზიტკა მომცა.

***– ვიზიტკა რატომ მოგცათ?***

– მითხრა, თქვენთან მინდა საუბრის გაგრძელებაო. ჩაიწერა ჩემი ნომერიც.

***– გააგრძელეთ საუბარი?***

– ჯერ არ შემომხმიანებია. აი, ასეთი სიტუაციაა. საქართველოში დღეს რაც ხდება, ეს რომ მოსკოვიდან არის დაგეგმილი, ამას ლაპარაკი რად უნდა. ბოკერია და მისი გუნდი სიამოვნებით ასრულებენ მოსკოვის დავალებებს.

***– ამ დროს ბოკერია და მისი გუნდი გამოკვეთილად ვერ იტანს რუსებს.***

– ეგ არის ზღაპარი. რუსების ლანძღვით შექმნილი აქვთ პროდასავლური იმიჯი, სინამდვილეში კი კრემლის დავალებას დავალებაზე ასრულებენ.

ეს გუნდი დასავლეთის სპეცსამსახურებსაც უსრულებს დავალებებს. ისეთები არიან, ქვეყანასაც გაყიდიან, მიწასაც, წყალსაც, ადამიანსაც და საკუთარ სულსაც კი.

ჩვენთან სულ მიდის საუბრები, რომ ბიძინა ივანიშვილი მფარველობს გიგა ბოკერიას. მე ადრეც გითხარით, რომ პირიქით არის საქმე და იქით მფარველობს ბოკერია ივანიშვილს.

***– თქვენს ამ განცხადებას ისეთი ამბები მოჰყვა.***

– სიმართლე ვთქვი და მაგიტომ. ბოკერია საკმაოდ ანგარიშგასაწევი ფიგურაა, მას ბევრი ნაცნობი ჰყავს, როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთში. ამიტომ ვთქვი, რომ ბოკერიაა ივანიშვილის მფარველი.

***– თუ ივანიშვილის მფარველია ბოკერია, რატომ აწყობდა მის წინააღმდეგ შეთქმულებას?***

– რატომ და ჩვეულებრივად. როგორც სააკაშვილმა მოუწყო შევარდნაძეს გადატრიალება. ამას ახლა ეძახიან ფერად რევოლუციას, თორემ ეგ სინამდვილეში ხელისუფლების გადაბარებაა. აშკარაა, რომ ივანიშვილი ბოკერიასთვის აპირებს ხელისუფლების გადაბარებას.

## გია ვოლსკი: „დიდი თანხები მიაქვთ ბიუჯეტიდან ისეთ პარტიებს, რომელთა სახელი საზოგადოებას არც გაუგია“



საკმაოდ დიდი თანხები მიაქვს ბიუჯეტიდან ისეთ პარტიებს, რომელშიც საერთოდ არც პიროვნებებს იცნობს საზოგადოება და არც ამ პარტიის სახელი გაუგიათ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს პარტიული დაფინანსების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით განუცხადა.

ვოლსკის თქმით, პარტიების დაფინანსება უნდა ხდებოდეს ლოგიკურად და არა რომელიმე პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე.

– მე არ მინდა, უტრირებაში შევიდე, მაგრამ ყველა პარტიასა და პოლიტიკურ ძალას ჰყავს მხარდამჭერი და, თუკი მხარდამჭერების გარკვეული რაოდენობა მიიჩნევს, რომ ამ ადამიანებმა პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიანთი როლი შეასრულონ, რასაკვირველია, იმავე ადამიანების დაფინანსება ბიუჯეტიდანაც უნდა ხდებოდეს. ლოგიკური კავშირი უნდა არსებობდეს და არა რომელიმე პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდეს ეს, – აცხადებს ვოლსკი.

## სალომე სამადაშვილი: „ნულოვანი ბარიერი და ბლოკებად გაერთიანების აკრძალვა პოლიტიკური სპექტრის დანაწევრებას შეუწყობს ხელს“



– მსჯელობის ერთ-ერთი თემა საარჩევნო ბარიერს უნდა შეეხოს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის ვენეციის კომისიის რეკომენდაცია იყო, რომ ქვეყანაში მცირე ბარიერი არსებობდეს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. დეპუტატი ფიქრობს, რომ კონსტიტუციის ცვლილებაზე მსჯელობის დროს შესაბამისი არგუმენტები უნდა დასახელდეს.

– როცა კონსტიტუციის ცვლილებაზე მსჯელობა იქნება, არგუმენტაცია უნდა მოვისმინოთ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ვენეციის კომისიის, რა ლოგიკაა ამის უკან – სამართლებრივი თუ პოლიტიკური. ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, თუმცა ის, რომ ნულოვანი ბარიერი შემოვიღოთ და ავკრძალოთ ბლოკებად გაერთიანება, ეს ხელს კიდევ უფრო შეუწყობს პოლიტიკური სპექტრის დანაწევრებას. ამან შესაძლოა, გამოიწვიოს პოლიტიკურ პროცესში ქაოსი, რაც ბიძინა ივანიშვილს ძალაუფლების შენარჩუნებაში არ დაეხმარება, შეიძლება პოლიტიკური პროცესი უმართავი გახადოს, – აცხადებს სამადაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება მელიასგან სერიოზულ ლიდერს ქმნის“

## „როგორც კი „ოცნება“ ძალაუფლებას დაკარგავს და ივანიშვილი ჩამოშორდება, დაიშლება“

იაგო ნაცვლიშვილი

1 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად გამართა საკანონმდებლო პაკეტის პრეზენტაცია. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა პრეზენტაციაზე არ მივიდა, მაგრამ რამდენიმე მაინც მივიდა, რამაც სხვა ოპოზიციონერების კრიტიკა გამოიწვია.

რატომ არ იყო ოპოზიცია ერთიანი, რა შანსი აქვს გადასარჩენად „ქართულ ოცნებას“ და რა თქვეს ხელისუფლებამ და სასამართლომ ნიკა მელიას საქმეზე? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა გააკრიტიკეს სხვა ოპოზიციური პარტიები იმის გამო, რომ პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით დაესწრნენ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას. უნდა მისულიყვნენ თუ ოპოზიციას საერთო სტრატეგია უნდა ჰქონოდა?***

– ოპოზიციის ერთიანობაზე ლაპარაკი ერთი დიდი ზღაპარია, რომელიც 30 წელია გრძელდება. სინამდვილეში მე არ ვთვლი ასე კატეგორიულად, რომ არ უნდა მისულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არის ლეგიტიმური მოთხოვნები, მაგრამ არის საკითხები, რაც ამ მოთხოვნებზე მაღლა დგას.

გახარიას გადადგომაზე არ დგას ამ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების გეგმა. პროპორციულ არჩევნებზე გადასვლა ასეთ საკითხებს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ.

ჩვენ ხომ მტრები არ ვართ. იქაც უნდა მიხვიდე, გააპროტესტო და მოთხოვნები უნდა გააჟღერო. მე ეს მგონია, რომ სწორია და არა ის, რომ ამით ისევ ხელისუფლებას მივცეთ შანსი, რომ დათმობა ისევ გააწულოს და ყველაფერი წყალში გადაიყაროს. ამიტომ მე ასეთი კატეგორიული არ ვიქნები.

თუ ვინმეს უნდა, ასეთი დემარშით ილაპარაკოს, ეს მისი გადასაწყვეტია. მაგრამ ის, რომ ამის გამო სხვები გაკიცხონ, არა მგონია, რომ დღევანდელ მოცემულობაში მათ ამის უფლება ჰქონდეთ.

***– „ევროპული საქართველო „ამბობს, რომ ეცდება, როგორმე დაითანხმოს „ოცნება“ იმაზე, რომ ბლოკების შექმნა შესაძლებელი იყოს. შესაძლებელია, „ოცნებამ“ ესეც დათმოს?***

– ამ მოთხოვნას არ ვეთანხმები. იმიტომ რომ, მოდით, საკითხი ასე დავსვათ, რას გვაძლევს ეს ბლოკები?! თუ პარტიას არ აქვს პოტენციალი, რომ ნულოვანი ბარიერიც კი გადალახოს, ასეთი პარტია რატომ უნდა სჭირდებოდეს მეტ-ნაკლებად სერიოზულ პოლიტიკურ ძალას?! ეს მხოლოდ ანაგვიანებს პოლიტიკურ ველს. რაღაც მანიპულაციების და ტექნოლოგიების მოსაწყობად გამოიყენება და ქმნის ფსევდოერთიანობის ილუზიას და მეტს არაფერს.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია პოსტსაარჩევნო კოალიციების ფორმირება. პარტიები უნდა ერთიანდებოდნენ არა წინასაარჩევნოდ გაუგებარი პრინციპებით, სადაც არც იდეოლოგიური ერთობაა, მსოფლმხედველობა და ა.შ. გაუგებარი ერთიანობით ვიღაცის წინააღმდეგ, არამედ პოსტსაარჩევნო პერიოდში უნდა ეძებდნენ იმ ოქროს კვეთას, რომლითაც ისინი გაერთიანდებიან და მოახდენენ უმრავლესობისა თუ უმცირესობის ფორმირებას.

ეს არის ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი.

კი ბატონო, შეიძლება, ამასაც ჰქონდეს მინუსები, მაგრამ ერთკაციანი პარტიების თემა უნდა დავამთავროთ. ცოტათი მაინც უნდა გავფილტროთ საკმაოდ დაბინძურებული ველი, რომელიც გვაქვს.

***– „ოცნებას“ შეექმნა კრიზისი, შემდეგ თითქოს რაღაცები დათმო, მაგრამ შემდეგ ისევ ერთიანი მესიჯბოქსით დაიწყო გახარიას დაცვა.***

– მაგაზე გამოვაქვეყნე ვრცელი განცხადება, სადაც ვთქვი, რომ გახარიამ უნდა გააცნობიეროს, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რა დოზით არის პასუხისმგებელი ამ პროცესებზე, აქვს შანსი, თავისი გადადგომით გზა გაუხსნას საერთო სახალხო დიალოგს, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი განვითარების ფორმულის შემუშავების მიზნით. მან უნდა იცოდეს, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს განსაკუთრებული აღტყინებით უკიჟინებენ, რომ „არ გადადგეს“, ასეთივე აღტყინებით „ჩადებენ მიწაში“, როგორც კი რაღაც შეიცვლება.

მათ ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

***– ქუცნაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მშვილდაძე ზელენსკის შეადარა და აქციას, პრაქტიკულად, მართული უწოდა. რამდენად გამართლებული იყო მისი აქცენტები და ხომ არ უნდა აელო ტაიმაუტი მცირე დროით მაინც?***

– ქუცნაშვილი არ არის საინტერესო და



არც არასდროს ყოფილა. მე უკვე დავიწყებული მყავდა და ახლა შარიშური ატეხა. ქუცნაშვილი არ არის ქართული პოლიტიკის ფაქტორი. ის რას ილაპარაკებს, მაგას საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა.

***– მაშინ, „ქართული ოცნება“ რატომ ვერ ამბობს მასზე საბოლოოდ უარს?***

– არ ვიცი. რაც უნდათ, ის ქნან, ეს მათი გადასაწყვეტია. 91 ქუცნაშვილი ეყოლებათ თუ 92, მე ამაში დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ.

***– „ქართულ ოცნებას“ მაინც ექნება რაღაც შანსი 2020 წელს?***

– არა, მე ასე ვფიქრობ, მას არანაირი შანსი არ ექნება უმრავლესობაში მოსასვლელად.

***– უმრავლესობაში მოსვლის მხრივ კი არ გეკითხებით, არამედ იმას, რომ იქნება პარლამენტში არცთუ უმნიშვნელო მანდატებით წარმოდგენილი.***

– ამის შანსი, რა თქმა უნდა, ექნება. ელექტორატს თავი რომ გავანებოთ, რესურსები ხომ აქვს და, ბუნებრივია, რაღაც შანსი ექნება.

***– მაგრამ უკვე 2024 წლისთვის რა შანსი ექნება? ხომ არ ფიქრობთ, რომ დაშლისთვის განწირულია?***

– ასე შორს ნუ წავალთ. ჯერ „ქართულ ოცნებას“ 2020 წელი აქვს გადასატანი. დღეს „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომელსაც როგორც კი ბიძინა ივანიშვილი მოშორდება ან როგორც კი სახელისუფლებო ძალაუფლებას საფრთხე შეექმნება, მეორე დღესვე დაიშლება. ეს არ არის მყარი პარტია, რომელსაც აქვს კლასიკური იდეოლოგიური მყარი ფუნდამენტი, რაც მას მისცემს იმის რესურსს, რომ ოპოზიციაშიც იარსებოს.

ოპოზიციაში „ქართული ოცნება“ სასაცილოა. ეს არის კლასიკური სახელისუფლებო პარტია, რომელიც მაშინვე იშლება, როგორც კი ხელისუფლებიდან წასვლა მოუწევს.

***– ანუ ნაციონალური მოძრაობის გზით მის სვლას არ ელოდებით?***

– არა, ნამდვილად არ ველოდები. ნაციონალური მოძრაობა ცუდი იყო თუ კარგი, მას ჰქონდა მწყობრი იდეოლოგია და დღესაც აქვს, რაც „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია.

***– თუმცა, ისიც ხომ ფაქტია, რომ გარკვეულწილად მაინც ნაციონალების მაკონსოლიდირებელი სააკაშვილიც არის?***

– კი ბატონო.

***– სააპელაციო სასამართლომ მელიას სამაჯურის ტარების ვალდებულება დააკისრა. ეს რას ნიშნავს, როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო პოლიტიკოსის მიმართ?***

– ისევ და ისევ „მტრის“ წისქვილზე ასხამენ წყალს, იმიტომ, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან კონფლიქტში შედის.

ერთი მხრივ, დეპუტატმა უნდა შეასრულოს თავისი კანონიერი ვალდებულება – იაროს პარლამენტში და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში, სასამართლო კი მას სახლიდან გამოსვლას უკრძალავს, რაც სრული აბსურდია.

აქედან გამომდინარე, მელია ამ სანქციას დაარღვევს და, ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ეს ძალიან რეზონანსული საერთაშორისო საქმე გახდეს.

ფაქტობრივად, ხელისუფლება და სასამართლო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მელიასაგან შექმნან სერიოზული ლიდერი. არა უბრალოდ ნიკა მელია, რომელიც მეორე ლიგის პოლიტიკოსია, არამედ შექმნან ნამდვილი ლიდერი. ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

***– ანუ ხელისუფლებამ თავად აქცია მელია გმირად?***

– რა თქმა უნდა.

# დავითგარეჯი აზერბაიჯანის საკუთრებაში გადადის?

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი-ალიევის გარიგება საფინალო ფაზაში შედის“

შორენა მარსაგიშვილი

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ რუს დეპუტატ გავრილოვს ბაქოს ცენტრში დიდი ძეგლი უნდა დაუდგას. მისი წყალობით საქართველოში ყველას მიავიწყდა დავითგარეჯი. ამით ისარგებლეს ჩვენმა მეზობლებმა და ჩიჩხიტურის მიმართულებით გზის გაყვანის სამუშაოები განაახლეს.

რას ემსახურება დავითგარეჯის თემის მიჩუმათება, რატომ აყვირა ივანიშვილმა ამ თემაზე პრორუსული პარტიები, რა გარიგება დადო მან ილხამ ალიევთან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.



**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– სამწუხაროდ, მართლდება ჩვენი, ლეიბორისტების პროგნოზი იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილის რეჟიმი გარიგებულია ალიევთან დავითგარეჯის დათმობასთან დაკავშირებით.

ეს გარიგება ფინალურ ეტაპზე გადადის, მალე ალბათ ისიც გაირკვევა, თუ რაში ცვლის ოლიგარქი უძველეს და ყველაზე მსხვილ სამონასტრო კომპლექსს.

ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად „ოცნების“ ლიდერმა ხელსაყრელი დრო შეარჩია. მოგეხსენებათ, რომ დღეს ხალხის მთელი ყურადღება გადატანილია რუსთაველზე მიმდინარე აქციებზე, სადაც რუსეთისა და ივანიშვილის დავალებების შემსრულებელ გიორგი გახარიას გადადგომას ითხოვენ.

მოდუნდა თუ არა ხალხის ყურადღება, ბაქო ეგრევე გააქტიურდა გარეჯის მიმართულებით. ცნობილი ხდება, რომ აზერბაიჯანელებმა 1 ივლისს განაახლეს ჩიჩხიტურის მიმართულებით გზის გაყვანის სამუშაოები.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით განცხადებაც კი არ გაუკეთებია.

***– იქნებ ქართული მხარე ჯერ არ არის საქმის კურსში?***

– გამორიცხულია. ვინც გარეჯში ერთხელ მაინც არის ნამყოფი, დამეთანხმება, რომ გზის სამუშაოების განახლება ქართველ მესაზღვრეებს არ გამორჩებოდათ. ამას მათგან მალულად, უბრალოდ, ვერ გააკეთებდნენ. მესაზღვრეები ამის შესახებ ხელისუფლებას აცნობებდნენ.

წესითა და რიგით, ხელისუფლებას განგაში უნდა აეტეხა, მაგრამ დუმილს ამჯობინებს.

აქამდე გვეუბნებოდნენ, რომ ამ საკითხზე მუშაობდნენ და თურმე სადემილიტაციო-სადემარკაციო კომისია აკეთებდა რაღაცას.

დარწმუნებული ვარ, არანაირი კომისია არ მუშაობს. ეს განცხადებაც საზოგადოების მოსადუნებლად გაკეთდა. იმედი აქვთ, რომ დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი პროტესტი მინელდება და დავითგარეჯს აზერბაიჯანს უპრობლემოდ გადასცემენ.

ივანიშვილმა ამ მტკივნეული თემის გასანეიტრალებლად პრორუსული პარტიები გამოიყენა.

მხედველობაში მყავს პატრიოტთა ალიანსის აქცია. სრულიად მიუღებელი იყო ამ ღიად პრორუსული პარტიის მიერ დავითგარეჯის თემაზე გამართული აქცია.

***– მიუღებელი რატომ იყო, ისინიც ხომ ამბობენ, რომ დავითგარეჯი საქართველოა?***

– ამბობენ, მაგრამ ამავე თემას მიაბეს საქართველოს ნეიტრალიტეტი. რა შუაშია ეს ორი თემა ერთმანეთთან ან რა უფლებით ითხოვენ ზოგიერთი პარტიები ნეიტრალიტეტს, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ პლებისციტზე მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს?!

ოლიგარქის დავალებით ეს საკითხი დავითგარეჯის თემას სპეციალურად მიაბეს, რათა ეს მნიშვნელოვანი საკითხი გადაეფარათ.

ჩემთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა პროდასავლური პარტიების დამოკიდებულებაც. ისინი აცხადებენ, რომ ოკუპანტი მხოლოდ რუსეთია და აზერბაიჯანთან ურთიერთობა არ უნდა გავამწვავოთ.

რუსეთი რომ მთავარი ოკუპანტია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ მათი ოკუპანტობა აზერბაიჯანის ქმედებებს არ ამართლებს.



დავითგარეჯის ოკუპაცია საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ხორციელდება. ეს ივანიშვილსა და ალიევს შორის დადებული გარიგებაა.

***– ეს ზემოთაც თქვით და რის სანაცვლოდ შეიძლება დაუთმოს ივანიშვილმა გარეჯი აზერბაიჯანს?***

– ბევრი რამე შეიძლება მიიღოს სანაცვლოდ. გარიგება შეიძლება პოლიტიკურია. შესაძლოა, ფინანსურ გარიგებასთან გვაქვს საქმე. ფაქტი ის არის, რომ ოლიგარქი გარეჯს გვაკარგვინებს.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო საზოგადოებას და ვუთხრა, რომ დავითგარეჯის თემაზე ყურადღების მოდუნება არ შეიძლება.

კარგად მესმის, რომ ახლა სხვა რამეა საბრძოლველი და რუსი გახარიას მოშორებაა მთავარი, მაგრამ სხვა ფრონტზეც უნდა შევძლოთ ბრძოლა.

ჩვენ, უბრალოდ, ვალდებულნი ვართ, ასე მოვიქცეთ. საქართველო ისედაც მცირემიწიანი ქვეყანაა და დასაკარგი ერთი გოჯი მიწაც კი არ გვაქვს.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ დავითგარეჯი მხოლოდ მიწა არ არის. ეს გახლავთ უძველესი და უდიდესი სამონასტრო კომპლექსი, რომლის დათმობაც არაფრით არ შეიძლება.

ჩვენ ვერ დავთმობთ ჩვენს სიწმინდეებს იმის გამო, რომ ოლიგარქმა ფინანსური სარგებელი ნახოს.

# „ოცნება“ პროპორციულ სისტემაშიც, შესაძლოა, უმრავლესობაში აღმოჩნდეს“

## რას ფიქრობენ ვახტანგ ძაბირაძე და ვახტანგ ხმალაძე

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტები **ვახტანგ ძაბირაძე** და **ვახტანგ ხმალაძე** „ახალ თაობას“ ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ საარჩევნო სისტემაზე ესაუბრებიან.

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სისტემის რეფორმას? ხელისუფლება მზად არის რეალურ დათმობაზე წავიდეს თუ სათავისოდ შეეცდება გამოიყენოს?***

**ვახტანგ ძაბირაძე:**

– მოგეხსენებათ, ამ ინიციატივის განხორციელებას საკონსტიტუციო ცვლილებები სჭირდება. საკონსტიტუციო ცვლილებები რომ მოხდეს, 113 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო. „ქართულ ოცნებას“ შეუძლია თქვას, რომ უმრავლესობაში აღმოჩნდნენ „გმირი“, „პრინციპული“ დეპუტატები და ისინი მხარს არ უჭერენ წარმოდგენილ ინიციატივას. მაშინ რას იზამს უმრავლესობა? ვერაფერსაც ვერ იზამს.



პრინციპული აღმოჩნდება, მაგალითად, დმანისის მაჟორიტარი, რომელიც, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ხელისუფლებაში, ის მაინც პარლამენტშია და ხელისუფლებას წარმოადგენს.

***– დეპუტატ ოქრიაშვილს გულისხმობთ?***

– დიახ და მის მსგავსებს. ის ნამდვილად არ დაუჭერს ამ ცვლილებას მხარს, რადგან მას თავისი პირადი ინტერესი აქვს.

***– თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მხარდაჭერა დასჭირდებათ ამ კანონპროექტის გასატანად.***

– დიახ, მაგრამ ოპოზიციის ხმები არ ეყოფა, იმდენი „პრინციპული“ დეპუტატი აღმოჩნდება „ქართულ ოცნებაში“. ამიტომ, მე ვშიშობ, რომ აღნიშნული კანონპროექტი განწირულია ჩაგდებისთვის.

***– შეიძლება, ეს შეთავაზება ხელისუფლების მიერ ერთგვარი სვლაა ამ ცხელ პოლიტიკურ დღეებში?***

– არ არის გამორიცხული. ამიტომ, სანამ ეს შეთავაზება კანონად არ იქცევა და კონსტიტუციაში ცვლილება არ შევა, დათმობაზე საუბარი რთულია. თუ ხელისუფლებას ამ კანონპროექტის ჩაგდება უნდა, ალბათ, მომავალი წლის გაზაფხულზე ჩააგდებს. თუმცა, პოლიტიკურ პროცესზეც არის ეს ყველაფერი დამოკიდებული და მიბმული.

***– ნულოვანი ბარიერი რა ხიფათებს შეიცავს? პარალელები იყო გავლებული შევარდნაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ძირითადი აქცენტი პარლამენტის სიჭრელეზე კეთდება.***

– პარალელების გავლება სწორი არ არის. 1992 წლის პარლამენტზეა საუბარი. მაშინ იყო შერეული საარჩევნო სისტემა, ახლა საუბარია სრულად პროპორციულ სისტემაზე. მაშინ პროპორციულ არჩევნებში ხმის მიცემის წესი სხვა იყო, პროპორციულ-რეგიონული სიები იყო. პროპორციულ სიებში ვინც იყო, მას უფლება არ ჰქონდა, კენჭი მაჟორიტარულ ოლქში ეყარა და პირიქით. მთელი პარტიული ელიტა პროპორციულ სიებში იყო და ამიტომ ყოფილი რაიკომის მდივნების ცვენა იყო.

მართალია, საკმაოდ ჭრელი პარლამენტი იყო, მაგრამ ამ პარლამენტმა შეძლო, სამოქალაქო ომისთვის დაეღწია თავი, ეკონომიკური კრიზისი გადაეგორებინა, კუპონი გადაგვეტანა და ახალი ვალუტა, ლარი შემოგვეღო.

რაც მთავარია, კონსტიტუცია მივიღეთ. პოლიტიკური პროცესი ქუჩიდან პარლამენტში გადავიდა. ჩხუბი მიდიოდა პარლამენტში და არა – ქუჩაში და მაშინ მიზანიც ეს იყო.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რომ ჭრელი პარლამენტი არასტაბილური მთავრობის გარანტიაა, საქართველოში პრობლემა სწორედ ის არის, რომ მთავრობა ზედმეტად სტაბილურია და არავის უნდა წასვლა, გახარიას ჩათვლით. მთავრობის ცვლილება კი არ არის პრობლემა, პრობლემა ის არის, რომ გარკვეული დროის შემდეგ ჩვენთან ყველა მთავრობა კლანების ჩამოყალიბებას იწყებს.

ყოველთვის ჯობია, პარლამენტი იყოს ჭრელი და ხმაურიანი, ვიდრე ქუჩა. ჩვენთან, სამწუხაროდ, ყოველთვის პირიქით იყო. ამიტომაც გვაქვს ეს შედეგები, ამიტომაც ვტრიალებთ ერთ წრეზე.

იმ ვერსიას, რომ ჭრელი პარლამენტი საშინელებაა, ავრცელებს ის, ვისაც არ უნდა კონტროლი მთავრობაზე, ვისაც არ უნდა კოალიციური მთავრობა. კოალიციური მთავრობა თავისთავად კონტროლია.

ასევე მესმის ძლიერი პარტიების, რომელთაც არ უნდათ ნულოვანი საარჩევნო ბარიერი.

***– რატომ არ უნდათ?***

– იმიტომ, რომ არ აწყობთ ნულოვანი ბარიერი, რადგან მათ ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვთ. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა სიამოვნებით დათანხმდებოდა 10%-იან საარჩევნო ბარიერს და ასევე „ქართული ოცნებაც“. სხვა ვერც ერთი პარტია ვერ გადალახავდა ამ ბარიერს და ყველაფერი ნათელი იქნებოდა.

***– ორპარტიული სისტემა იქნებოდა.***

– დიახ, ამომრჩევლის დაშინებაც აღარ დასჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ეს ხომ არ გააჯანსაღებს პოლიტიკურ ველს?! საზოგადოებას ხომ უნდა ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენა, ამიტომაც არის საჭირო ნულოვანი ბარიერი, მრავალპარტიულობა და არა – ორპარტიული სისტემა, რაც ვნახეთ, რაც არის.

ნულოვანი ანუ ბუნებრივი ბარიერი 0,67% არის საფუძველი ახალი ჯგუფების გამოჩენის, ახალი პოლიტიკური ასპარეზის.

***– ნულოვანი ბარიერი პოლიტიკური ბლოკების სანაცვლოდ. ხელისუფლება ოპოზიციას ეუბნება, თუ ბუნებრივ ბარიერსაც ვერ გადალახავთ მარტო, მაშინ რა გინდათ პარლამენტში. რამდენად სწორი არგუმენტია?***

– ეს არის საქმე! ეს ყველაფერი პირდაპირ მთავრობის ფორმირებას უკავშირდება. კონსტიტუციაში პირდაპირ წერია: მთავრობას აკომპლექტებს პირველ ადგილზე გასული ძალა.

***– შესაძლებელია, პირველ ადგილზე გავიდეს არა „ქართული ოცნება“, არამედ ოპოზიციური ბლოკი?***

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. ამიტომაც არ უნდა ბლოკები „ქართულ ოცნებას“. თუმცა, შემოვლითი გზები ყოველთვის არსებობს. ვნახოთ, მე მაინც მგონია, რომ „ოცნება“ რთულ ვითარებაშია.

მე ნულოვანი ბარიერის შემდეგ, 2024 წლისთვის საარჩევნო ბარიერს 1%-მდე გავზრდიდი, 10-12 წლის შემდეგ – 3%-მდე. ეს საშუალებას მოგვცემდა, რომ პოლიტიკური სპექტრი ქვეყანაში გადახალისებულიყო, დაწმენდილიყო. თუ პოლიტიკურ ველზე სიახლე გვინდა, მაშინ ეს ერთ-ერთი რეალური გზაა.

* * *

***– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის ნაწილი შიშობს, რომ პროპორციულ სისტემაზე „ქართული ოცნება“ არ გადავა და ეს პოლიტიკური ტემპერატურის დასაწევად გადადგმული ნაბიჯია, იტყვის, ხმები არ გვეყოო და კანონპროექტიც ჩავარდება.***

**ვახტანგ ხმალაძე:**



– დღეს „ქართულ ოცნებას“ მართლაც არ ჰყავს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა. ამდენად, ყველა შემთხვევაში, აღნიშნულ ცვლილებას ოპოზიციის მხარდაჭერა დასჭირდება.

„ქართულ ოცნებაში“ ეყოლება თუ არა იმდენად ბევრი მოწინააღმდეგე აღნიშნულ კანონპროექტს, რომ შეიძლება, ოპოზიციური დეპუტატების ხმებიც არ ეყოს და მართლაც ჩავარდეს კანონპროექტი, ვერ გეტყვით.

„ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად არის რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც წინააღმდეგი არიან მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების და სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის.

ასე იქნება თუ ისე, ჩვენ უნდა გადავიდეთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. ამ სისტემას აქვს სხვადასხვა ვარიანტები. პარლამენტში 2 კანონპროექტია შესული: ერთი 20 ოპოზიციური პარტიის და მეორე – „ქართული ოცნების“.

ოპოზიციის კანონპროექტი ითვალისწინებს 3%-იან ზღურბლსა და საარჩევნო ბლოკებს, „ქართული ოცნების“ კი აუქმებს საარჩევნო ზღურბლს და კრძალავს საარჩევნო ბლოკებს.

***– ნულოვანი ბარიერის შემთხვევაში პარლამენტის სიჭრელე სახელდება საფრთხედ. რა საფრთხეზეა საუბარი და როგორი სურათი შეიძლება მივიღოთ ამ შემთხვევაში?***

– დიახ, ზღურბლის არარსებობა წინაპირობაა პარლამენტის სიჭრელის. დიდი სიჭრელე განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სტაბილურობას.

პროპორციული არჩევნების დროს თითქმის გამორიცხულია, რომ ერთმა პარტიამ საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვოს. ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობის კოალიციით შექმნის აუცილებლობა დგება დღის წესრიგში. ამ დროს, როდესაც ძალიან ჭრელია პარლამენტი, მაშინ ცხადია, რთული ხდება კოალიციის შექმნა.

***– და ვადამდელი არჩევნების საჭიროება დგება?***

– დიახ, არ არის გამორიცხული, აქამდე მივიდეს საქმე. როგორც წესი, პირველ-მეორე ადგილზე გადიან ის პარტიები, რომლებიც ერთ კოალიციას არ შექმნიან. ამიტომ უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად საჭირო იქნება წვრილ-წვრილ პარტიებთან მოლაპარაკება და მათთან შეთანხმების მიღწევა.

ვიღაცამ შეიძლება ერთი კაცი გაიყვანოს, ვიღაცამ – ორი. ამიტომ არის საუბარი იმაზე, რომ ასე შექმნილი უმრავლესობა ძალიან ჭრელი იქნება. შესაბამისად, ჭრელი იქნება მთავრობაც,

ეს უმრავლესობა ძალიან მარტივად შეიძლება დაიშალოს რომელიმე სუბიექტის განაწყენების შემთხვევაში. უმრავლესობის დაშლას კი მთავრობის გადადგომა მოჰყვება. ეს ყველაფერი პოლიტიკურ არასტაბილურობას ქმნის.

დიდი სიჭრელე ამით არის უარყოფითი. თუმცა, აქ ყურადღება ერთ რამეს უნდა მივაქციოთ – თუკი ჩვენს 30-წლიან გამოცდილებას გადავხედავთ, ბუნებრივი ზღურბლის პირობებში დაახლოებით 10 პარტია გვეყოლებოდა პარლამენტში, რაც არცთუ ისე დიდი სიჭრელე გამოდის.

***– და ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოლაპარაკებები, ლავირება შესაძლებელია.***

– დიახ. რა იქნება მომავალ წელს, ამის წინასწარ თქმა რთულია, მაგრამ პრაქტიკა და გამოცდილება ამას უჩვენებს.

***– „ქართული ოცნება“ აცნობიერებს, რომ შეიძლება მარტო ვერ დააკომპლექტოს მთავრობა, მაგრამ შეგნებულად მიდის ამ ნაბიჯზე?***

– ორი ვარიანტია, რა შეიძლება მოხდეს, თუ საარჩევნო სისტემა არ შეიცვალა და რა შეიძლება მოხდეს, თუ საარჩევნო სისტემა შეიცვალა.

თუ არ შეიცვალა, არ არის გამორიცხული, რომ შეიქმნას ძალიან დიდი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკი, როგორც ეს მოხდა 2012 წელს და ამ ბლოკმა შეიძლება „ქართული ოცნება“ დაამარცხოს, როგორც თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა არჩევნებში. მე არ გამოვრიცხავ, რომ დაახლოებით მსგავსი სურათი მივიღოთ, როგორც 2012 წელს.

***– ყველა ერთის წინააღმდეგ?***

– დიახ, დიახ! არ ვიცი, ამ წელიწადნახევარში კიდევ რას დააშავებს „ქართული ოცნება“, მაგრამ, არ არის გამორიცხული, ისეთი ვითარებაც შექმნას, რომელიც სომხეთში იყო, სადაც არჩევნებში მმართველმა პარტიამ საარჩევნო ზღურბლიც კი ვერ გადალახა, ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღო და საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

***– თუ საარჩევნო სისტემას შეცვლის და პროპორციულზე გადავალთ?***

– ამ შემთხვევაში გარანტირებულად მოხვდებიან პარლამენტში. თუ საკმარისად ბევრი მანდატი მიიღეს, მაშინ შესაძლებლობაც რჩებათ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის წვრილ-წვრილი პარტიების წარმომადგენლების თავიანთ მხარეზე გადაყვანით.

ასეთია ვითარება: ერთ შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი დაკარგონ, მეორე შემთხვევაში შანსი რჩებათ.

მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ ამას აპირებს, რომ წვრილ-წვრილი პარტიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებით კვლავ შექმნის საპარლამენტო უმრავლესობას და კვლავ თავად დააკომპლექტებს მთავრობას.

ამომრჩეველმა კარგად უნდა გაარჩიოს ნამდვილი პარტია ფსევდოპარტიისგან. თუკი ეს ცვლილება შევა კონსტიტუციაში, დარწმუნებული ვარ, კიდევ რამდენიმე ასეთი წვრილი ფსევდოპარტია შეიქმნება.

ასეთ პარტიებს ამომრჩევლებმა ხმა არ უნდა მისცენ.

# ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ქუცნაშვილი პარლამენტს დატოვებს, თუმცა ეს საკითხი ახლა უმნიშვნელო ჩანს“

ქუცნაშვილი დატოვებს პარლამენტს, თუმცა ეს საკითხი საზოგადოებისთვის, რომელიც აღელვებულია იმის გამო, რაც




მოხდა „გავრილოვის ღამეს“, ახლა უმნიშვნელო ჩანს, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ჭიაბერაშვილი დარწმუნებულია, რომ ქუცნაშვილი პარლამენტს დატოვებს, როგორც ეს იყო გაცხადებული.

– „გავრილოვის ღამის“ სისხლზე პასუხისმგებელი ბიძინა ივანიშვილი და გიორგი გახარია არიან. ქვეყნისთვის გაუმართლებელ იმ პოლიტიკაზე, რასაც ვხედავთ შვიდი წლის განმავლობაში რუსეთის მიმართ, პასუხისმგებელი არის ასევე ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“. ამ ყველაფრის მიუხედავად, არც ის ადამიანები უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან, ვინც გავრილოვის საქართველოში ჩამოსვლის სიმბოლო გახდა. რა თქმა უნდა, როგორც იყო გაცხადებული, რომ ქუცნაშვილი დატოვებს პარლამენტს, მან უნდა დატოვოს პარლამენტი, თუმცა ეს საკითხი საზოგადოებისთვის, რომელიც აღელვებულია არის იმის გამო, რაც მოხდა „გავრილოვის ღამეს“, ახლა უმნიშვნელო ჩანს, – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

ცნობისთვის, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნების“ დეპუტატს ზაქარია ქუცნაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება 15 ივლისამდე არ შეუწყდება, დუშეთში, თიანეთსა და ყაზბეგში, რომლის მაჟორიტარიც ქუცნაშვილია, პარლამენტის შუალედური არჩევნები ვეღარ ჩატარდება. შესაბამისად, ამ სამ მუნიციპალიტეტს მოქმედ პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი აღარ ეყოლება.

ქუცნაშვილის განცხადებით, განცხადება მანდატის შეწყვეტის თაობაზე მან გასულ კვირას დაწერა და ის განსახილველად მზად არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ საკითხს რეგლამენტით დადგენილი წესით მსვლელობა ჯერ არ მისცემია. უმრავლესობაში ჯერ არც ის იციან, მოწვეული იქნება თუ არა პარლამენტის რიგგარეშე პლენარული სხდომა 15 ივლისამდე.

# კახა კოჭორიძე: „3%-იანი ბარიერი უკეთესი იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **კახა კოჭორიძე** პასუხობს.

***– ბატონო კახა, „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებს პროპორციული წესით ჩაატარებს. თქვენი შეფასებები როგორია აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით?***

– საქართველოში კონსენსუსი არსებობდა ყოველთვის, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა არის სწორი სისტემა და ის ბევრად უკეთესია მაჟორიტარულ სისტემაზე. რატომ ჰქვია პროპორციული? პროპორციული ჰქვია იმიტომ, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიები მანდატებს მიიღებენ მიღებული ხმების პროპორციულად. ანუ ხმები არ დაიკარგება და, შესაბამისად, საზოგადოებაში არსებული განწყობები პროპორციულად აისახება მანდატებში.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ძალთა ბალანსი მოხდეს. ჩვენთან ძირითადად პრობლემები მანდედან მოდის, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან ხმები არ არის სათანადოდ ასახული პარლამენტში, რაც ბალანსს არღვევს. ეს კი ხელს უშლის სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

***– მაჟორიტარული სისტემით ყოველთვის მოგებულია ხელისუფლება?***

– დიახ. თუ გადავხედავთ ჩვენ ბოლო, 2016 წლის არჩევნებს, ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მაშინ მიიღო 50%-ზე ნაკლები ხმები პროპორციული კუთხით, მაგრამ მანდატები, მაჟორიტარული მახინჯი სისტემის საფუძველზე, მიიღო 75%-ზე მეტი. მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა მაშინ, როცა ქართველი ამომრჩევლის პოზიცია იყო, რომ არ უნდა მიეღო „ქართულ ოცნებას“ სხვებთან დიალოგის გარეშე, მაგრამ ამ მახინჯმა სისტემამ გამოიწვია ის, რომ კონსტიტუციური უმრავლესობა მიიღო.

ამ კონსტიტუციურმა უმრავლესობამ კიდევ გამოიწვია ის, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს, ვინაიდან ბალანსი დაირღვა პოლიტიკურ ასპარეზზე. ძალაუფლება რყვნის და, მით უმეტეს, რყვნის დაუმსახურებელი ძალაუფლება, როცა შენ არ გაძლევს ამომრჩეველი ამდენ ხმას და მაინც იღებ მახინჯი სისტემით.

***– შემოთავაზებულ ვერსიაზე რას იტყვით?***

– ის ძალიან კარგია. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე უნდა გაეკეთებინათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. კარგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეისმინა საზოგადოების მოთხოვნა და დათანხმდა ამას. ჩემი პირადი აზრით, ჯობდა, რომ 3%-იანი ბარიერი დაეტოვებინათ.



***– ნულპროცენტიანი ბევრს არ მოსწონს, ისმის შეფასებები, რომ ქაოსს გამოიწვევს. ასეა?***

– ერთი მხრივ, ცუდია დაუბალანსებელი ძალაუფლება, მეორე მხრივ, ცუდია ქაოსიც. პარლამენტი არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო, ყოველდღიურ პროცესში არაერთი კანონის მიღება უნდა მოხდეს. ქაოტური სიტუაცია ძალიან შემაფერხებელი იქნება და გაჭედავს გადაწყვეტილებების მიღებას.

***– ანუ ჯობდა ყოფილიყო 3%-იანი ბარიერი?***

– ამიტომ ჯობდა 3%-იანი ბარიერი. 3%-იანი რომ უკეთესია, ვიდრე ნულოვანი, ამაზე კონსენსუსი არსებობდა და მათ შორის „ქართული ოცნებაც“ ამ აზრზე იყო და ამიტომ ჩაიწერა 3% და არა 0 პროცენტი კონსტიტუციაში. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ კარგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, რომ ეს ნულოვანი ბარიერი არის ერთჯერადი და არ შეეხება 2024 წლის არჩევნებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იქნება 0%-იანი თუ 3%-იანი, შემოთავაზებული ვერსია ცალსახად ჯობია მოქმედს და ახლა ყველა პასუხისმგებლიანმა ოპოზიციამ ისეთი პოზიცია უნდა დაიჭიროს, რომ „ქართულ ოცნებას“ რაიმე საბაბი არ მიეცეს ამ გადაწყვეტილების შეცვლის.

***– ფიქრობთ, რომ საბაბს ეძებს „ოცნება“, რომ უარი თქვას მის მიერვე შემოთავაზებულ ინიციატივაზე?***

– იმედია, „ოცნებას“ არ აქვს ის დამოკიდებულება, რომ საბაბის ძებნა დაიწყოს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ იქნება.

100 დეპუტატს აქვს ხელი მოწერილი და ეს უკვე კარგია და „ქართული ოცნების“ ნება, რომ ეს ცვლილება განახორციელოს, უკვე ნათელია. თუმცა არსებობს იმის რისკი, რომ თუ ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს გამოუცხადებენ, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი.

ფაქტია ისიც, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა ამ ეტაპზე, რამდენიმე დეპუტატი აკლიათ, რომ მარტო, დამოუკიდებლად შეცვალოს საარჩევნო სისტემა. ამისთვის მას სჭირდება ოპოზიციური ხმები. ამიტომ ბოიკოტის რეჟიმი ცალსახად არ იქნება კარგი და არც ვფიქრობ, რომ ეს მოხდება.

ამ პროცესში თუ იქნება არგუმენტები ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი, რომ ნულოვან ბარიერს 3%-იანი ბარიერი სჯობს, მე არ მესმის, რატომ არ უნდა მიიღოს ხელისუფლებამ მხედველობაში ეს არგუმენტები.

ამიტომ იმედი მაქვს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება და ვნახოთ, როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ პროცესს და რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება.

# რას ნიშნავს რუსეთის ახალი განცხადებები საქართველოს შესახებ?

## ევროპაში რუსულ გაზს იარაღად თვლიან

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც ჩანს, რუსეთის მიზანია, დაასუსტოს საქართველო, შემდეგ კი მის წინააღმდეგ რბილ ძალას მიმართოს.

ინფორმაცია იმაზე, რომ რუსეთი აპირებდა საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში შესასვლელი ვიზების გაუქმებას, რამდენიმე დღის წინაც გავრცელდა. რუსეთის საგარეო მინისტრის მოადგილე გრიგოლ კარასინი ამ ინფორმაციას ადასტურებს. მისი თქმით, ამას ხელი შეუშალა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა. კარასინი აღნიშნავს, რომ ქართველებს მოუწევთ დაცდა უკეთეს დრომდე.



მანამდე რუსეთის მაღალჩინოსნებმა ქართველებისგან ბოდიში მოითხოვეს. ქართველი მოხელეების მხრიდან მანამდე გაკეთებული განცხადებები ფაქტობრივად მობოდიშება იყო. რუსი ექსპერტები ნიშნისმოგებით მიუთითებდნენ, რომ თბილისმა რიტორიკა შეცვალა და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი გმობს თბილისში მოწყობილ თავდასხმას რუსეთის დეპუტატ გავრილოვზე.

იმ დროს, როცა რუსეთში გრძელდება ნინო ქათამაძის შეჩვენება, რომელმაც უარი თქვა რუსეთში კონცერტებზე, და ყიჟინა იმაზე, რომ პუტინის მიერ გამოცხადებულმა ტურისტულმა ემბარგომ საქართველო ნოკაუტში ჩააგდო, რუსეთი გვპირდება ვიზების გაუქმებას მაშინ, როცა უკეთესი დრო დადგება.

ეს კარგი დრო, რუსების გათვლით, მაშინ მოვა, როცა საქართველო უკეთესად მოიქცევა. მაშინ საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში უვიზოდ შეუშვებენ, საქართველოში კი ისევ იაფად დაისვენებენ რუსები. დაძაბულობა დამთავრდება, პროდასავლური საქართველო კი კიდევ უფრო მეტად გახდება დამოკიდებული ოკუპანტ სახელმწიფოზე. კრემლში იმის მიღწევაც უნდათ, რომ თბილისმა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიაროს.

ეს ყველაფერი ხუმრობას ჰგავს, მაგრამ რეალობაა. ამ რეალობაში ცხოვრობენ რუსები, რომლებსაც წარმოდგენაც არ აქვთ, რა ჩაიდინა რუსეთმა საქართველოში. მეზობელ სახელმწიფოში გაბატონებულია მოსაზრება იმაზე, რომ უმადური საქართველო ვერ აფასებს რუსეთის დამსახურებას მის წინაშე.

შექმნილი კრიზისის ფონზე ამ ნარატივს მისდევს საოლქო დუმის დეპუტატი ანდრეი კოლესნიკი. მისი მტკიცებით, გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა ქართველები ამოწყვეტას გადაარჩინა. საქართველო მიმნდობი და კეთილი რუსეთის კეთილმეზობლობას ბოროტად იყენებს – ესვრის რუსეთის სამშვიდობო ძალებს, რუსეთში აგზავნის თავის კანონიერ ქურდებს და უხარისხო ღვინოს.

უმადურობით, რუსი დეპუტატის აზრით, მარტო ქართველები არ გამოირჩევიან. უკრაინელებს ლენინმა, სტალინმა და ხრუშჩოვმა გიგანტური ტერიტორია და მრეწველობა მისცეს, ისინი კი ახლა ანადგურებენ რუსეთის მოსახლეობას, რუსულ ენას, აწყობენ აგრესიას დონბასში და ტერაქტებს ყირიმში.

რუსი დეპუტატის აზრით, მიამიტ რუსებს ჩაგრავენ ბალტიისპირელებიც – პეტრე პირველმა ბალტიისპირეთი შვედეთისგან იყიდა. ბალტიის რესპუბლიკები ყველაზე აყვავებული იყვნენ საბჭოთა კავშირში. მათ ეს არ დააფასეს და დღეს ყველაზე რუსოფობიურები არიან პოსტსაბჭოთა სივრცეში.

იმ დროს, როცა რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს საქართველო თავის არეალში, საქართველო კი თავისი ეკონომიკის მიბმას რუსეთზე მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგება, დასავლეთში რუსულ გაზს ებრძვიან.

– ის დრო, როცა გაზის თაობაზე გარიგებების პირობებს მოსკოვი გვთავაზობდა, დამთავრდა, – აცხადებს ევროდეპუტატი დანიიდან მარტენ პეტერსენი.

მას ეამაყება, რომ პატარა დანიამ თავისი პოზიცია დაიცვა და რუსეთის გაზპრომს „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის მილსადენი თავის ტერიტორიაზე არ გაატარებინა.

გაზპრომი ამის გამო სხვა მარშრუტებს არჩევს.

ევროდეპუტატის თქმით, რუსეთი გაზისგან იარაღს ქმნის, რაც დაუშვებელია.

რუსეთისთვის მნიშვნელოვან ამ გაზსადენს აშშ-ც გადაჭრით ეწინააღმდეგება. წავა თუ არა ვაშინგტონი ამ პროექტში მონაწილე გერმანელი ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე, გაურკვეველია.

აშშ-ში ბევრი თვლის, რომ ამერიკამ ევროპელ მოკავშირეებს სასჯელი არ უნდა დაადოს და ისინი ერთობლივად უნდა ებრძოლონ რუსეთისა და ჩინეთის ავტორიტარულ რეჟიმებს და მათ აგრესიას.

# მიშა მშვილდაძე: „ზაქარია ქუცნაშვილს ვეუბნები, რომ არც ერთ ძალას არ წარმოვადგენ“



აქციებზე არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ ძალას და, თუ ვინმე უსმენს ჩვენ გამოსვლებს, ეს იკითხება ჩემი გამოსვლების პათოსში, – ასე გამოეხმაურა მიშა მშვილდაძე გადაცემა „საღამოსNEWSROOM“-ში ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებას.

– ეჰ, ზაქარია ქუცნაშვილი, ალბათ, შედის იმ ძალიან ცოტა ადამიანების რიცხვში, რომლებიც უბრალოდ ვერ მიხვდნენ გავრილოვის ჩამოყვანა და იმ სავარძელში ჩასმა რას ნიშნავდა. შესაბამისად, ზაქარიას მოსაზრებებიც საკმაოდ ექვემდებარება გადამოწმებას. ამ აქციაზე ვდგავარ როგორც „თავისუფლების გამავრცელებელი“ საზოგადოების შიდა გამოკითხვაში არჩეული ერთ-ერთი სპიკერი. ჩემი პირადი პოლიტიკური გემოვნება ჩემი პირადი საქმეა, თუმცა ამ მიმართულებითაც თუ ვინმეს განსაკუთრებული ინტერესი აქვს, შემიძლია დავაკმაყოფილო და ვუთხრა, რომ ამ აქციაზე არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, თუ ვინმე უსმენს ჩვენს გამოსვლებს, ეს იკითხება ჩემი გამოსვლების პათოსში, – განაცხადა მშვილდაძემ.

ზაქარია ქუცნაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ აქციები, რომელიც რუსთაველზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობს, მართულია.

– ვინ უძღვება აქციებს, ყველა ხედავს. მიშა მშვილდაძე ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. საზოგადოების მოტყუება, რომ ეს აქციები მართული არ არის ან აქციის ჩატარებით პარტიები დაინტერესებულები არ არიან, მე არ მჯერა. ვინ არის მიშა მშვილდაძე?! იუმორისტი? – უკრაინაშიც ეგონათ ზელენსკი იუმორისტი და ყველამ ნახა, რომ თავიდან ბოლომდე ყოფილა პოლიტიკაში ჩართული. მიშა მშვილდაძე არ გახლავთ იუმორისტი, ის ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი აპოლოგეტია, – დასძინა ზაქარია ქუცნაშვილმა.

# თორნიკე შარაშენიძე: „ნიკა მელია მიხვდა, რომ მისი დაჭერა გადაიფიქრეს და სულაც აღარ ეშინია“

– ახლა ნიკა მელიამ რაც არ უნდა იძახოს, აღარ დაიჭერენ. დევნილი პოლიტიკოსი უფრო ძლიერია.

ამის შესახებ პოლიტოლოგმა თორნიკე შარაშენიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რითაც გამოეხმაურა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით. შარაშენიძის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ მელიას დაპატიმრება გადაწყვეტილი ჰქონდა, თუმცა ბიძინა ივანიშვილს ვიღაც დაელაპარაკა და აზრი შეაცვლევინა.



– ის, რომ საქართველოში სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, ისეთივე ცხადია, როგორც სამჯერ სამი არის ცხრა. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ნიკა მელიას იმუნიტეტი მოუხსნეს, გადაწყვეტილება შეიცვალა და აღარ დაიჭირეს. არ ვიცი ვინ და როგორ ჩაერია, ამერიკის საელჩომ იმუშავა თუ სხვა ვინმემ, მაგრამ ფაქტია, რაღაც შეიცვალა. ისეთი აღტყინებით უხსნიდნენ მას იმუნიტეტს, რომ წესით, დაჭერა გადაწყვეტილი იყო და მერე უცებ აღარ დაიჭირეს. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილს უთხრა ვიღაცამ და გადაწყვეტილება ამის გამო შეიცვალა. მე არ მჯერა, რომ პარლამენტი ან სასამართლო დამოუკიდებელია ამ ქვეყანაში.

ნიკა მელია კი მიხვდა, რომ მისი დაჭერა გადაიფიქრეს და სულაც აღარ ეშინია. ახლა რაც არ უნდა იძახოს, ალბათ, აღარ დაიჭერენ. დევნილი პოლიტიკოსი უფრო ძლიერია. აღნიშნულმა საქმემ ნიკა მელიას პლუსები დაუწერა იმიტომ, რომ დევნილ პოლიტიკოსს რაც არ უნდა ნეგატივები ჰქონდეს, ნეგატივები გადაიფარება იმით, რომ დევნიან, – განაცხადა თორნიკე შარაშენიძემ.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბრალდებული წევრის, ნიკა მელიას საქმეზე დაცვის და ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მელიასთვის გირაოს შეფარდების შესახებ უცვლელი დარჩა. ამასთან, მან პროკურატურას ნიკა მელიას ელექტრონული მონიტორინგი დაავალა.

# პეტრე მამრაძე: „ქვეყანაში რაც ხდება, „ოცნების“ პოლიტიკური იდიოტიზმის გამოვლინებაა“

გულიკო ბალაძე

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** აფასებს.

***– ბატონო პეტრე, ბოლოდროინდელ მოვლენებს როგორ აფასებთ? ხელისუფლებამ კრიზისის დაძლევის გზები მოძებნა თუ არა?***

– მოვლენებს ასე შევაფასებ: ეს იყო მმართველი დაჯგუფების, „ოცნების“ ანუ ქოცების პოლიტიკური იდიოტიზმის კიდევ ერთი და ამჟამად ძალიან უხეში გამოვლინება, რომლითაც მაშინვე ისარგებლეს სააკაშვილის ნაციონალებმა, რომლებისთვისაც პატრიოტიზმი უკანასკნელი თავშესაფარია.

***– ელოდებოდნენ, „ოცნება“ შეცდომებს როდის დაუშვებდა?***

– კი არ ელოდებოდნენ, ყოველთვის მზად არიან, ყოველთვის ჩასაფრებული არიან. ზოგადად, ოპოზიცია ასეა მთელ მსოფლიოში – ყოველთვის ჩასაფრებულია, ყოველთვის მზად არის მმართველი ჯგუფის შეცდომაზე რეაგირებისათვის. ოღონდ, აქ საქმე გვაქვს დესტრუქციულ ძალასთან, რომლის ლოზუნგია: რაც უარესი ქვეყნისა და ხალხისთვის, მით უკეთესი მათთვის.

მას არ ჰქვია ოპოზიცია, თავის დროზე მადლენ ოლბრაიტმა საქართველოში ყოფნისას, ოპოზიციის ქმედებითა და გამონათქვამებით გაოგნებულმა, სწორედ ეს თქვა: ოპოზიცია არის ეროვნული ძალა, რომელიც ლოიალურია, ეროვნული ინტერესების ერთგულია, მაგრამ ხელისუფლებისაგან განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვს.

***– თითქოსდა მთელი პროცესი, რომელიც წარიმართა რუსი დეპუტატის, გავრილოვის საქართველოს პარლამენტის სკამზე დანახვის შემდეგ, ამას ემსახურებოდა, ანუ ნაციონალების პროტესტი, ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯი არ იყო?***

– არა, ჩემთვის ადამიანურად გასაგებია, გულწრფელი მოქალაქეების, პირველ რიგში, ახალგაზრდების გულწრფელი აღშფოთება, როდესაც მოულოდნელად, ტელევიზიით დაინახეს, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ვინმე კომუნისტი გავრილოვი იჯდა და რაღაც სხდომა მიჰყავდა, მაგრამ ყველა ჯურის ნაცისტებმა, სააკაშვილის თანამზრახველებმა, ეს მაშინვე თავისი ანტიეროვნული მიზნებისთვის გამოიყენეს.

***– რა ზიანი მიადგა ამ პროცესებით საქართველოს?***

– ზიანი მიადგა როგორც საქართველოს იმიჯს, ასევე ეკონომიკას. უცხოელები ხუმრობენ, ერთი კაცი დაჯდა, ადგა და თქვენმა ქვეყანამ მილიარდობით დოლარი დაკარგაო.

***– აქ იგულისხმება პუტინის მიერ რუსი ტურისტებისთვის საქართველოს კურორტებზე დასვენების აკრძალვა, პირდაპირი ფრენების აკრძალვა თუ სხვა მხრივაც მოგვადგა ზიანი?***

– სხვა მხრივ, საქართველოს იმიჯი შეელახა. მთელი მსოფლიო გაოგნებული უყურებდა ეკრანებზე, როგორ დაესხა პოლიციელებს ბრბო, როგორ სცემდნენ პოლიციელებს, როგორ ართმევდნენ, ფარებსა და ხელკეტებს, როგორ იყენებდნენ სხვადასხვა საგნებს პოლიციელების წინააღმდეგ, ესროდნენ ქვებს. პოლიცია კი არ რეაგირებდა. ეს ძალიან დიდ კითხვას ბადებს. არაერთმა უცხოელმა დამირეკა და მკითხა, პოლიციამ მაშინვე აუცილებელი ზომები რატომ არ მიიღო ამ აგრესორი თავდამსხმელების წინააღმდეგ.

საფრანგეთში ყოველ კვირას ატარებენ ყვითელი ჟილეტების საპროტესტო აქციებს. საკმარისია, რომელიმე მათგანი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად შეეხოს პოლიციელს, რომ პოლიციელი მყისიერად იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს და ხდება მისი დაკავება.

***– როდესაც უცხოელების რეაქციებზე ვსაუბრობთ, მახსენდება გერმანიის ელჩი მისვლა იმ ღამით პარლამენტში. საინტერესოა, რეალურად, რისთვის იყო მისული, ხელისუფლების მხარდასაჭერად, თუ იმის სათქმელად, რატომ არ ხდებოდა განეიტრალება იმ ჯგუფისა, რომელიც პოლიციელებს თავს ესხმოდა.***

– მან თავის განცხადებაში უაღრესად ობიექტურად გამოხატა ყველაფერი, მაგრამ ერთია დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქის თუ დიპლომატის თვალით დანახული რეალობა – სრულიად გაუგებარია, როცა პოლიცია დგას, პოლიციელებს სცემენ, ართმევენ ხელკეტებს, ფარებს, ურტყამენ, ცალკეულ პოლიციელებს, სპეცრაზმელებს ორგანიზებულად იჭერენ და ათრევენ რიგებიდან, პოლიცია კი დგას, არ იძვრის და არავითარ საშუალებებს არ იყენებს.

უცხოელებს მეორე კითხვა დაებადათ, როდესაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყეს აქციის დაშლა. ხომ უნდა გაეფრთხილებინათ, მოქალაქენო, აგრესიულმა თავდამსხმელებმა დაიწყეს პარლამენტზე შტურმი, თავს დაესხნენ პოლიციელებს, ამიტომ პოლიცია ახლა გამოიყენებს სპეციალური დანიშნულების საშუალებებს, როგორიცაა, გაზი და რეზინის ტყვიები.

ასეთ დროს პოლიცია ამ საშუალებებს იყენებს მხოლოდ პირველ რიგებში მყოფთა მიმართ. რეზინის ტყვიებიც მხოლოდ მათ ხვდებათ გულმკერდის არეში და არა – თავში. ეს ადვილია, როცა მისი გამოყენება ახლო მანძილიდან ხდება და ყველაფერი ამით მთავრდება. შემდეგ ხდება დაპატიმრება.

უცხოელებმა დაინახეს, რომ ფოტოკორესპონდენტებსა და ჟურნალისტებს ზოგს 6-7 ტყვია აქვთ მოხვედრილი ზურგში. ზურგში რატომ ესვრიან, სრულიად გაუგებარია. უცხოელებმა გაიგეს, რომ ადამიანებს თავში და თვალში მოხვდათ რეზინის ტყვიები, ზოგმა თვალიც კი დაკარგა. ამ დროს აგრესიული ადამიანები შტურმს აგრძელებდნენ.

***– თქვენ როგორ ხსნით იმას, რომ დროულად არ იმოქმედეს, მოქალაქეები არ გააფრთხილეს და თანაზომადი ძალა არ გამოიყენეს?***

– ეს იმის ბრალია, რომ ჩვენთან არსებული პატრონყმური სისტემა გამორიცხავს სწრაფ რეაგირებას. ვიღაცამ ვიღაცას უნდა დაურეკოს (მინისტრიც ვერ წყვეტს ადგილზე), რა ვქნათ გვაწვებიან, ველარ ვაკავებთ, რაღაც უნდა გამოვიყენოთ, მაგალითად, გაზი. სანამ იქიდან არ მოვა დასტური, კი ბატონო, თუ არ არის საშველი, გამოიყენეთო, მანამდე არაფერს მოიმოქმედებენ. შემდეგ ხედავენ, რომ გაზი არ შველის, რადგან ადამიანები უკან ბრუნდებიან და ისევ ეცემიან. გაზი რომ არ შველის, შემდეგ ეკითხებიან, რა ვქნათ, რეზინის ტყვიები გამოვიყენოთ თუ არა. ეს ყოველთვის ასეა.




ეს იყო ყველაზე დიდი სისულელე, რაც „ოცნებამ“ ჩაიდინა და შემდეგ დროული რეაგირება ვერ შეძლო. დროულად რეაგირება თუ არ ხდება, შემდეგ უარესი ვითარება იქმნება. ეს ყველაფერი დაკავშირებულია პატრონყმურ სისტემასთან.

***– დროული რეაგირება ვერ შეძლეს, მაგრამ შემდეგ ძალის გადამეტება რაღა იყო? სპეცრაზმელები რატომ ესროდნენ ადამიანებს ზურგში, თვალში? რატომ ესროდნენ ჟურნალისტებს, რა, ჟურნალისტებზე იყვნენ დაგეშილი?***

– ჩვენ არაერთხელ გაგვიგია პრესიდან, რომ „ოცნებამ“ ძალოვან სტრუქტურებში დატოვა სააკაშვილის ის კადრები, ვინც ციხეებში ადამიანებს სასტიკად ექცეოდა, ვინც დემონსტრაციებზე ადამიანებს გაქცევის საშუალებას არ აძლევდა, ალყაში აქცევდა და იქ ჟლეტდა, ესროდა ტყვიებს.

> „ოცნებამ“ ძალოვან სტრუქტურებში დატოვა სააკაშვილის ის კადრები, ვინც ციხეებში ადამიანებს სასტიკად ექცეოდა, ვინც დემონსტრაციებზე ადამიანებს გაქცევის საშუალებას არ აძლევდა, ალყაში აქცევდა და იქ ჟლეტდა, ესროდა ტყვიებს.

გაიხსენეთ მაშინდელი მთავარი პროკურორის, კბილაშვილის განცხადება: ასეთი კადრები არა მარტო სისტემაში დატოვეს, არამედ ზოგი დააწინაურეს კიდეც. ამის შემდეგ არ მიკვირს, რომ ზოგიერთი სპეცრაზმელი მკაცრად იქცეოდა. „ოცნების“ პასუხისმგებლობაა, რომ 7 წელი გადის და არც კი დაუწყიათ რეფორმა – ის აუცილებელი ცვლილებები, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყანას, ნორმალური პოლიცია ჰყოლოდა.

***– სპეცრაზმიც.***

– დიახ, ნორმალური პოლიცია და სპეცრაზმი გვეყოლებოდა, მაგრამ არ გააკეთეს.

***– ისე, 80 პოლიციელიც დაშავდა.***

– ეს პოლიციის იმ ხელმძღვანელების ბრალია, რომელმაც დროული რეაგირება არ მოახდინა. მეც გაოგნებული ვიყავი, როცა ვხედავდი, თითქოს საცემრად გამზადებული განტევების ვაცები იყვნენ. არაფერს აკეთებდნენ, იდგნენ, ისინი კი მათ სცემდნენ და სცემდნენ.

***– ვინ იყვნენ ის მარბიელი ადამიანები, რომლებიც პოლიციას უტევდნენ – ქვაფენილი აყარეს, ფილებს ამტვრევდნენ და პოლიციას ესროდნენ?***

– ეჭვი მაქვს, რომ ისინი დაკავშირებული არიან ნაცისტების დამნაშავე ლიდერებთან.

***– ნაცების ზონდერებს გულისხმობთ?***

– ეს უკვე ეჭვის დონეზე მაქვს ნათქვამი, ვინაიდან იქ დავინახე მომზადებული ადამიანები. ზოგიერთი მათგანი პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ფარებზე ისე ვარჯიშობდნენ, როგორც ნამდვილი მოკრივეები ვარჯიშობენ ბოქსის ტომარაზე და არც იღლებოდნენ. ამბობენ, რომ მანამდე რაღაცას სვამდნენ, ნაცისტებმა შემოიტანეს სტიმულატორები. ასეთი რამდენიმე ათეული ადამიანი იყო, მაშინ, როდესაც სხვები გაეცალნენ და ამაში არ მონაწილეობდნენ.

ვინც პოლიციას არ უტევდა და მშვიდობიან აქციას ატარებდა, მათ მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს – აღშფოთდნენ ახალგაზრდები. თუმცა, საგულისხმოა ჩანაწერებში რაც მოვისმინეთ: – ფეისბუქზე იმუშავეთ, ფეისბუქზე, ხალხი გამოიყვანეთ, – ყვირიან ნაცისტების ლიდერები. კადრში დავინახე გვარამია, უგულავა, მელია, შავგულიძე და სხვები, ანუ უნდოდათ ხალხი არა სპონტანურად, არამედ ორგანიზებულად გამოეყვანათ.

***– რატომ უნდოდათ ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, როდესაც უკვე კარს მომდგარია არჩევნები, მით უფრო, როცა საარჩევნო სისტემაც შესაცვლელი იყო? პარლამენტს რომ დაიკავებ, სახელმწიფო გადატრიალებამდე ერთი ნაბიჯია.***

– არჩევნებში გამარჯვების იმედი მაინცდამაინც არ აქვთ. რაც უნდა იბრძოლონ, ხალხში მთელი ამომრჩევლის 10-12%-ს ვერ აგროვებენ. ძირითადად, სააკაშვილის ამომრჩეველი თუ აძლევს ხმას, თორემ ამათ ცალ-ცალკე გოცირიძეებსა და ბოკერიებს, უგულავებსა და მელიებს ნულოვანი რეიტინგი აქვთ.

ამიტომ ის ხელწერა, ერთხელ რომ გამოუვიდათ ვარდების რევოლუცია, ცდილობენ, ახლაც გამოიყენონ და მოაწყონ ახალი რევოლუცია. 2-3 წლის წინ, ცნობილი უცხოელი პოლიტოლოგები სააკაშვილზე წერდნენ, რომ აღარაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რაც გამოუვიდა 2003 წელს.

***– მგონი, ისტორიამ არ იცის, რომ პიროვნებას ერთი და იგივე მოვლენა მეორედ ისეთივე წარმატებით დაესრულებინოს, როგორც პირველად.***

– დიახ, ერთ-ერთ მათგანს ისტორიიდანაც მოჰყავს მაგალითი, რომ ცოცხალ პოლიტიკოსებსაც ემართებოდათ ეს – ერთხელ რაღაც გამოუვიდათ, მერე ვეღარ შეიცვალნენ და ამ მხრივ მისი მოქმედება საპირისპირო შედეგს იძლეოდა.

ნაცებს ვიცნობ, დიდი ხანია ვაკვირდები და ვიცი, რომ მათ უნდოდათ პარლამენტის დარბაზში შესვლა. იქ ახლა, მგონი, ჩაი აღარ არის, მაგრამ შეიძლებოდა რაღაცის დალევა. გამოცხადდებოდა, რომ მორჩა და გათავდა. მოითხოვდნენ მთავრობის გადადგომას, რიგგარეშე არჩევნებს. ქართული ტრადიციით, ვინც მოახდენს გადატრიალებას, ის იმარჯვებს არჩევნებში.

***– სააკაშვილს უკრაინაში ხელი მოეცარა და მთელი მისი ყურადღება აქეთ იყო მომართული?***

– არ ვიცი, სააკაშვილის ფაქტორი რამდენად მოქმედებდა. ბევრი მათგანი დიდი ხანია დაპირისპირებულია სააკაშვილთან და მისი ჩამოყვანა არც უნდათ. ეს ცნობილია.

***– გახარია უნდა გადადგეს?***

– გახარია არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადგეს, გარდა ერთი შემთხვევისა (ერთმა მეგობარმა მითხრა, პარლამენტში ის ბრბო რომ შეჭრილიყო, გახარია მაშინვე უნდა გადამდგარიყოო, მაგრამ, რადგან ბრბო ვერ შეიჭრა საკანონმდებლო ორგანოში, შს მინისტრი რატომ უნდა გადადგესო). მე დავამატებ, თუ გამოძიება დაამტკიცებს, რომ გახარია პოლიციელებს ავალებდა, აბა, თვალში გაარტყით როგორმე, აბა, ჟურნალისტებს ზურგში ესროლეთ, ან ძალას გადაამეტეთო, მაშინ უნდა გადადგეს. დარწმუნებული ვარ, გახარია, ასეთ ბრძანებებს არ იძლეოდა. ასევე თუ დამტკიცდა, რომ გახარია დამნაშავე სპეცრაზმელებს ხელს აფარებს, მაშინ მინისტრი უნდა გადადგეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეც არ ხდება.

***– მაშინ რატომ ითხოვენ შს მინისტრის გადადგომას, ასე ჰგონიათ, ძალოვანი მინისტრი თუ გადადგება, ხელისუფლება ჩამოიშლება?***

– არა. ოპოზიციის მოთხოვნით ძალოვანი მინისტრის წასვლა თავისთავად ყოველთვის წონადი რამ არის, მაგრამ თქვენ დამისახელეთ „ოცნების“ ლიდერებს შორის მეტ-ნაკლებად ხალხში პოპულარული სახე და მეტ-ნაკლებად ისეთი ფიგურა, რომელსაც ხალხში პატივს სცემენ, ორ-სამს თუ ჩამოთვლით.

***– მგონი, გახარია პოპულარულია. დღემდე ასე იყო.***

– ორ-სამს თუ ჩამოთვლით, მეტს ვერა. გახარია აღმოჩნდა ის ახალი სახე (ცხადია, ტელევიზიით დანახული), რომელმაც თავისი ქცევით, თავისი მსჯელობითა და სიტყვა-პასუხით მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში მოიპოვა პოპულარობა.

ძლიერი და საჭირო ადამიანი ჩანს. ნაცისტებისთვის გახარია ყელში გაჩხერილი ძვალია.

## ბაჩუკი ქარდავა: „პოლიტიკურად სრულად გაკოტრებულ რეჟიმს ელექტროსამაჯური ვერ გადაარჩენს“

სააპელაციო სასამართლომ გუშინ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერ ნიკა მელიასთვის პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მელიასთვის გირაოს შეფარდების შესახებ უცვლელი დატოვა და პროკურატურას პოზიციის ლიდერის ელექტრონული მონიტორინგი დაავალა, რაც სამაჯურის კამერას გულისხმობს.



სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ ოპოზიციის ლიდერები. ბაჩუკი ქარდავა შინაპატიმრობის სასჯელს სამარცხვინოს უწოდებს და საბჭოთა პერიოდს ადარებს, როცა კომუნისტური რეჟიმი მსგავს მეთოდს დისიდენტების მიმართ იყენებდა.

– სამარცხვინო ფაქტი 21-ე საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოში. ივანიშვილის რეჟიმმა, პოლიტიკური ლიდერის, ნიკა მელიას აქტიურობით დამფრთხალმა, ოპოზიციონერს შინაპატიმრობა მიუსაჯა. ალბათ ლოგიკურია, რომ საბჭოთა მეთოდი, რომელიც დისიდენტების წინააღმდეგ გამოიყენებოდა და რომელსაც პუტინი იყენებს თავისი ოპონენტების წინააღმდეგ, რუსმა ოლიგარქმა საქართველოშიც აამოქმედა. პოლიტიკურად სრულად გაკოტრებულ რეჟიმს ელექტროსამაჯური ვერ გადაარჩენს! – აცხადებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

## ტამიშის ბრძოლიდან 26 წელი გავიდა



ტამიშის ბრძოლიდან 26 წელი გავიდა. 1993 წლის 2 ივლისს, 05:00 საათზე, დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ხომალდით საზღვაო დესანტი გადმოსხა. დესანტი 600 კაცისგან შედგებოდა. გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინთხში განლაგებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა მიიღეს. მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს „დუშეთის“, „შავნაბადისა“ და „ავაზის“ ბატალიონებმა. ქართულმა მხარემ რამდენიმედღიანი ბრძოლის შედეგად 300-მდე მებრძოლი დაკარგა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება შეძლეს.

# ნიკა მელიას ელექტრონულ სამაჯურს გაუკეთებენ

## სააპელაციომ გირაო ძალაში დატოვა



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბრალდებული წევრის ნიკა მელიას საქმეზე დაცვის და ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა გუშინ, 2 ივლისს, გამოაცხადა. მან ამ გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მელიასთვის გირაოს შეფარდების შესახებ უცვლელი დატოვა. ამასთან, პროკურატურას ნიკა მელიას ელექტრონული მონიტორინგი დაავალა.

ნიკა მელიასთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული დამატებითი შეზღუდვები მისმა ადვოკატმა, გიორგი კონდახიშვილმა გაასაჩივრა.

მან სასამართლო სხდომაზე ნიკა მელიას მიერ საცხოვრებელი ადგილის სამართალდამცავი ორგანოს თანხმობის გარეშე დატოვების აკრძალვისა და სამომავლოდ შესაძლო მოწმის სტატუსის მქონე პირთან კომუნიკაციის აკრძალვის გაუქმების შუამდგომლობა დააყენა. როგორც კონდახიშვილი აცხადებს ის, რაც მელიასთვის დამატებით შეზღუდვებთან დაკავშირებით მოსამართლის განჩინებაში წერია, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან, რაც პარლამენტის წევრის შეუფერხებელ საქმიანობას გულისხმობს.

სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალდებამაც. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა დააყენა.

როგორც პროკურორი თავის შუამდგომლობაში განმარტავდა, ნიკა მელიას მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არსებობს. პროკურორის თქმითვე, ნიკა მელიას მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებულია გირაო და ამის ფონზე ჩაიდინა მან ახალი დანაშაული, შესაბამისად სახელმწიფო ბრალდება თვლის, რომ ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამ ბრალდებულის სათანადო ქცევა ვერ უზრუნველყო.

ნიკა მელიას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 30.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მელიას დამატებითი შეზღუდვებიც დაუწესდა.

კერძოდ კი, ნიკა მელია საცხოვრებელ ადგილს საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ვერ დატოვებს.

მას ასევე აეკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება, მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია. მას ასევე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოებისათვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება.

მელიას ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობას და ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობას, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

# 1 კვირაში საგადასახადო სამართალდარღვევის 478 ფაქტი გამოვლინდა

24-30 ივნისს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 478 ფაქტი გამოვლინდა. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 4 364 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 145 შემთხვევა.

ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 38 ფაქტი, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 295 შემთხვევა.

# სადახლოსა და წითელ ხიდზე არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



19 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ და „წითელი ხიდი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერების შედეგად, ჯამში 22,260 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, ჩამოერთვათ საქონელი, და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ. ხოლო, 19 ივნისს, სგპ სადახლო-საავტომობილოზე აღმოჩენილი სამართალდარღვევის საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# „სვეტის“ დამფუძნებელ გივი ჯიბლაძეს 8 წელი მიესაჯა, თორნიკე ჯანელიძეს — 6,5

სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებლის გივი ჯიბლაძისა და გენერალური დირექტორის თორნიკე ჯანელიძის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

ჯიბლაძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯანელიძეს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

– საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გივი ჯიბლაძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. თორნიკე ჯანელიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 6 თვის ვადით, – აცხადებენ სასამართლოში.

„სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე და გენერალური დირექტორი თორნიკე ჯანელიძე გასული წლის 3 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააკავა.



მათ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის წაუყენეს, რაც თაღლითობას, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლებას გულისხმობს. სახელმწიფო ბრალდების მტკიცებით, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მიერ 2016 წლის დასაწყისში დაანონსდა მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტების დაწყება ისე, რომ კომპანიას მშენებლობის შესაბამისი ნებართვები არ ჰქონდა მიღებული.

დიდი ოდენობით თანხის მოსაზიდად ჩატარდა აქტიური სარეკლამო კამპანიაც, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით, რითაც მოხდა ბინის შეძენით დაინტერესებული როგორც ადგილობრივი ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მოზიდვა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ ობიექტზე, ბრალდებულები მოტყუებით დაეუფლნენ მენაშენეთა კუთვნილ თანხას 3.356.385 ლარის ოდენობით.

# შეკვეთილში სამხედროებით სავსე მიკროავტობუსი გადაბრუნდა

## 14 ჯარისკაცი დაშავდა



1 ივლისს შეკვეთილში სამხედროებით სავსე მიკროავტობუსი გადაბრუნდა. მძიმედ დაშავდა 14 ჯარისკაცი.

მიკროავტობუსს სამხედროები ბათუმიდან სენაკში, სამხედრო ბაზაზე გადაჰყავდა, როცა შეკვეთილის მონაკვეთზე მოსრიალდა და გადაბრუნდა.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა ქობულეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თავდაცვის სამინისტრომ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„ბათუმიდან სენაკის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი, რომელსაც მე-2 ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები გადაჰყავდა, სავალი გზის ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა.

სამხედროები სამოქალაქო ტრანსპორტით გადაადგილდებოდნენ. შემთხვევის შედეგად, 14-მა სამხედრო მოსამსახურემ სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები სამედიცინო დაწესებულებებში დაუყოვნებლივ გადაიყვანეს, სადაც მათ სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

3 მათგანი საავადმყოფოდან უკვე გაეწერა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული სამხედროები თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაალ კაპანაძემ მოინახულა.

ყველა სამხედროს მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

2019 წლის 1 ივლისს ოზურგეთის რ-ნის დაბა შეკვეთილში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაზე გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია“.

# „ბიჭები ხელფასის აღებას აღნიშნავდნენ, წყალში გადახტა და გული გაუსკდა“

## რა მოხდა გურიაში




უბედური შემთხვევა მოხდა ლანჩხუთში – დაღუპულია 53 წლის მამაკაცი.

„გურია თუდეის“ ინფორმაციით, ჩინურ კომპანია „სინოჰიდროში“ მომუშავე სოფელ ჩიბათის მკვიდრი, 53 წლის გ.ზ. უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

ტრაგედია სოფელ ნიგოითში, ავტობანის მიმდინარე მშენებლობასთან მოხდა.

ხელფასის აღება აღუნიშნავთ კომპანიაში დასაქმებულებს. ტრაქტორის მიერ იქვე ხელოვნური ორმო ყოფილა გაკეთებული, სადაც ბანაობის მიზნით მამაკაცი გადახტა. სამწუხაროდ, 53 წლის გ.ზ. ადგილზე დაიღუპა.

ჩიბათის თემის მაჟორიტარ გიორგი ჩახვაძის თქმით, სოფელმა წესიერი კაცი დაკარგა.

– როგორც მე ვიცი, ბიჭები ხელფასის აღებას აღნიშნავდნენ. წყალში გადახტა და გული გაუსკდა. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი უბედური შემთხვევა ამ ოჯახში. წლების წინ გარდაცვლილის ძმაც უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. 21 წლის ბიჭი ავარიით დაიღუპა, – თქვა გიორგი ჩახვაძემ.

# რუსთავში „სოკარის“ სადგურს თავს დაესხნენ

## დაკავებულია 2 პირი




პოლიციამ რუსთავში, მე-16 მიკრორაიონში, „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურზე ყაჩაღური თავდასხმის ბრალდებით ორი პირი დააკავა. არსებული ინფორმაციით, ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელს ორი პირი 1 ივლისს ღამით დაესხა თავს და ერთმა ბლაგვი საგნით მას სახის არეში ჭრილობა მიაყენა.

თავდამსხმელებმა სალაროდან თანხა გაიტაცეს.

დაკავებულია 2 პირი, საქმე 179-ე მუხლითაა აღძრული, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.



# აშშ-მ ალ-ქაიდას საწვრთნელ ბანაკს დაარტყა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ავიაციამ სირიის ჩრდილო-დასავლეთზე დარტყმა განახორციელა.

სწორედ აქ მდებარეობს ალ-ქაიდას საწვრთნელი ბაზები, აქედან ხორციელდება რეიდები სირიის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე, აგრეთვე თავდასხმები ამერიკელ სამხედროებზე.

სირიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს მოზრდილ ტერიტორიას, რომელიც ტერორისტების კონტროლს ქვეშ იმყოფება. ალ ქაიდას ბანაკებიც სწორედ აქ არის.

# კვიპროსში რუსული რაკეტა ჩამოვარდა

კვიპროსში, ნიქოზიის მახლობლად, რუსული რაკეტა ჩამოვარდა.

რაკეტა თურქეთის მიერ კონტროლირებად ჩრდილოეთ კვიპროსში, ნიქოზიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 კილომეტრში, ადგილობრივი დროით დაახლოებით ღამის პირველ საათზე ჩამოვარდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, თუმცა რაკეტის ჩამოვარდნის ადგილას ხანძარი გაჩნდა.

ჩრდილოეთ კვიპროსის ლიდერის, მუსტაფა აკინჯის ვარაუდით, ინციდენტი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ კვიპროსი სირიასთან ახლოს მდებარეობს, გვიან ღამით კი ისრაელის თვითმფრინავებმა ჰომსის პროვინციასა და დამასკოში სირიის არმიის პოზიციებზე იერიში მიიტანეს.

კვიპროსელმა სამხედრო ანალიტიკოსმა ანდრეას პენტარასმა განაცხადა, რომ რაკეტის ნამსხვრევები რუსული ცე-200-ის მსგავსია, რომელიც სირიის არმიის შეიარაღებაშია.

ჩრდილოეთ კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზურსაიმ განაცხადა, რომ რაკეტა სირიის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვამ გაუშვა, რათა ისრაელის დარტყმა მოეგერიებინა.



# ნავალნი 10 დღით დააპატიმრეს

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი კვლავ ციხეშია. მოსკოვის სასამართლომ მას 10 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ნავალნი კვლავ დემონსტრაციებისა და მასობრივი ღონისძიებების ორგანიზების კანონის დარღვევისთვის დააპატიმრეს.



ჟურნალისტ გოლუნოვის დაკავების გამო (პოლიციელებმა მას ნარკოტიკები ჩაუდეს) ნავალნიმ მოსკოვში დემონსტრაციები მოაწყო. ოპოზიციონერი დაადანაშაულეს იმაში, რომ ქუჩა გადაკეტა და პოლიტიკურ ლოზუნგებს გაიძახოდა.

# ტერაქტი ჩეჩნეთში



ჩეჩნეთში მორიგი ტერაქტი მოხდა. სოფელ ბამუტთან საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე უცნობი პიროვნება პოლიციელებს თავს დაესხა. მან ერთ-ერთ პოლიციელს დანა ჩაარტყა.

პოლიციელი დაეცა.

როცა სხვებმა თავდამსხმელის დაკავება სცადეს, მან ხელყუმბარა ამოიღო და ისროლა.

თავდამსხმელი მოკლეს. დაჭრილი პოლიციელი კი საავადმყოფოშია.

# ნიგერიაში ბენზინმზიდი აფეთქდა

## 50 ადამიანი დაიღუპა

ნიგერიაში ბენზინმზიდი აფეთქდა, რის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა და 70 დაშავდა.

ინციდენტი შტატ ბენუეში, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მოხდა. ბენზინმზიდი გზიდან გადავიდა და გადაბრუნდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კი დაღვრილი საწვავის შეგროვება დაიწყეს.

ამის შემდეგ ბენზინმზიდი აფეთქდა და 50 ადამიანი დაიწვა, 70-მა კი სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.



აფეთქებამ დააზიანა ახლომდებარე სახლებიც.



# რუსული წყალქვეშა აპარატი დაიწვა

## დაიღუპა 14 მეზღვაური

1 ივლისს რუსულ წყალქვეშა აპარატზე ხანძარი გაჩნდა, რომელსაც 14 მეზღვაურის სიცოცხლე ემსხვერპლა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ხანძარი გაჩნდა სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების წყალქვეშა აპარატზე, რომელიც რუსეთის ტერიტორიულ წყლებში გამოკვლევებს აწარმოებდა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის.

„ბიომეტრიული გაზომვების ჩატარების დროს გაჩნდა ხანძარი. დაიღუპა 14 წყალქვეშა მეზღვაური საგნების დაწვისგან მიღებული მოწამვლის გამო“, — ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ლონდონის თავზე თვითმფრინავიდან ცხედარი ჩამოვარდა

ლონდონის სამხრეთ რაიონის ლამბეტის მკვიდრმა საკუთარ ბაღში ცხედარი აღმოაჩინა, რომელიც თვითმფრინავიდან ჩამოვარდა.



ბაღის მფლობელმა, რომელმაც ცხედარი იპოვა, ამის შესახებ პოლიციას შეატყობინა. ადგილზე მისული სამართალდამცავები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიცვალებული ავიაკომპანია კენიის ავიახაზების კუთვნილი თვითმფრინავის შასის განყოფილებიდან ჩამოვარდა, როდესაც საჰაერო ხომალდი ნაირობიდან ლონდონის ჰტროუს აეროპორტში მოფრინავდა და დასაჯდომად ემზადებოდა. სავარაუდოდ, მამაკაცი არალეგალურად, უბილეთოდ ცდილობდა კენიიდან დიდ ბრიტანეთში ჩამოღწევას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაში ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# მბაპეს ბუნდოვანი მომავალი



ლიგა 1-ის დასრულების შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის გამორჩეულები დაასახელეს. ცერემონიალი დაafასეს არსენ ვენგერმა, დიდიე დროგბამ, ტიერი ანრიმ და სხვა ვარსკვლავებმა. საღამოს მთავარი გმირი კი კილიამ მბაპე გახდა.

ახალგაზრდა თინეიჯერმა 2 პრიზი მოიგო – გახდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და მომავლის იმედისთვის განკუთვნილი ჯილდოს ლაურეატი.

**კილიან მბაპე:**

– მადლობელი ვარ ბედის, რომ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მერგო და საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლუბის პრეზიდენტ ნასერ ალ ხელაიფის. ის მუდამ ჩვენთან იყო. ასევე მადლობა კლუბის ხელმძღვანელებს, სამწვრთნელო შტაბს, მთავარ მწვრთნელს, ჩემს პარტნიორებს.

მინდა შევაფასო სეზონი. რა თქმა უნდა, იყო მომენტები, როცა ჩვენ იმედგაცრუებულები ვიყავით, მაგრამ ჩემპიონები გავხდით და ამან ძალიან ბევრი რამის კომპენსირება მოახდინა.

რაც შემეხება მე, ვფიქრობ, მოვიდა იმის დრო, რომ უფრო მეტი ავიღო საკუთარ თავზე. მიმაჩნია, რომ ეს შემიძლია. ასევე, შემიძლია იმის თქმაც, რომ ჩემს კარიერაში საკვანძო მომენტი ახლოვდება.

ჟურნალისტებმა მისი სიტყვები სხვაგვარად გაიგეს. ხომ არ იყო ეს გუნდიდან წასვლაზე მინიშნება.

– მე მესიჯი გავგზავნე. ვფიქრობ, ეს იყო საყურადღებო მესიჯი. დანარჩენი მომავლის საქმეა და ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი, – თქვა მბაპემ.

ამაზე სასწრაფო რეაგირება მოახდინა პარი სენ ჟერმენმა. კლუბმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც წერია:

– ჩვენ 2 წლის განმავლობაში ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა კილიან მბაპესთან. მომავალ სეზონში ეს ურთიერთობა გაგრძელდება. ჩვენ გვაქვს ერთი სანუკვარი მიზანი – 2020 წელს პარი სენ-ჟერმენის დაარსებიდან 50 წლის იუბილეა და ყველა მაქსიმალურად ვეცდებით, ეს იუბილე ევროპულ არენაზე წარმატებით აღინიშნოს.

პსჟ-ს მომავალ წელს სერიოზული ტიტული უნდა, ამას კი მბაპეს გარეშე ვერ გააკეთებს. თუმცა მბაპე, შესაძლოა, მაინც დარჩეს პარიზულ კლუბში, რადგან გუნდიდან წასვლას ნეიმარი აპირებს.

ცხადია, კილიანს გუნდში პირველკაცობა სურს. პარი სენ-ჟერმენის გერმანელი მწვრთნელი ტომას ტუხელი თავისი გაწვრთნილი გუნდის მთავარ ვარსკვლავად არა მბაპეს, არამედ ნეიმარს მიიჩნევს.

როცა პარი სენ-ჟერმენმა მბაპე მონაკოდან გადაიბირა, მისი შეძენა მაშინ მადრიდის რეალს სურდა. მაგრამ უნიჭიერესი თინეიჯერი პარიზში გადავიდა და ორი აზრი არ არის – ყველაფერი დიდმა ფულმა გადაწყვიტა. რა იქნება ახლა? ცნობილია, რომ მბაპე ბავშვობიდან რეალის გულმხურვალე გულშემატკივარია.

მისი საქციელით გაოცებულები არიან თანაგუნდელები. ისინი ხშირად განიხილავენ კილიანის საქციელის მოტივაციას და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მას რაღაც მეტი უნდა. რა არის ეს „მეტი“, ამაზე მხოლოდ ვარაუდია შესაძლებელი. გუნდის კაპიტნობა ხომ არა?

მბაპე მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა შემტევმა, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მომგებმა კრისტოფ დუგარიმ:

– არ მესმის, როცა მბაპე ამბობს, რომ მეტი პასუხისმგებლობა უნდა, რას ნიშნავს ეს? ყველას კარგად გვახსოვს საბედისწერო მატჩი მანჩესტერ იუნაიტედთან. სად იყო მაშინ მბაპე? მგონი, ის მინდორზე იყო და არავინ უშლიდა ხელს, მეტი აეღო საკუთარ თავზე. კი, მას ინდივიდუალური ხაზით დიდებული სეზონი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალური თვალსაზრისით.

მბაპეს გამოსვლას მკაცრი შეფასება მისცა პარი სენ-ჟერმენის ყოფილმა ფეხბურთელმა ვიკაშ დორასომაც:

– ეს იყო დიდებული, საზეიმო მომენტი და, არა მგონია, ეს მომენტი მბაპეს ასე უნდა გამოეყენებინა. მან ირიბად დაწოლა მოახდინა კლუბის ხელმძღვანელობაზე. ეს ძალიან ცუდია. ცუდია, როცა ზეიმს ასეთი რამეები აფუჭებს.

ამასობაში რეალი კბილებს ილესავს. ზინედინ ზიდანს საფრანგეთში უდიდესი ავტორიტეტი აქვს და ის დიდი ავტორიტეტია მბაპესთვისაც. კილიანის ბავშვობის სიყვარულზე უკვე ვილაპარაკეთ.

ასე რომ, მბაპეს ტრანსფერი რეალში უფრო და უფრო რეალური ხდება. ფაქტია ისიც, რომ „სამეფო კლუბი“ ფულს არ დაიშურებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დაივიწყოს ახლახან დასრულებული კოშმარული სეზონი. ეს კი მხოლოდ კარგი ტრანსფერების განხორციელების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

# ული ჰიონესი: „ფეხბურთელში 200 მილიონის გადახდა კრიზისს გამოიწვევს“



40 წლის წინ ული ჰიონესმა აქტიური საფეხბურთო კარიერა დაასრულა და მიუნხენის ბაიერნის მენეჯერი გახდა. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა და დღეს უკვე ბაიერნის პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა გერმანულ მედიას.

***– როგორ გახსენდებათ 1979 წლის 1 მაისი, თქვენი პირველი სამუშაო დღე ბაიერნის მენეჯერის რანგში?***

– ძალიან მოტივირებული ვიყავი. მეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და ჯიბეში მედო ბლოკნოტი. რობერტ შვანის კაბინეტი მერგო. იქ იყო მხოლოდ ტელეფონი, ტუმბო და მაგიდა. მეტი არაფერი. არანაირი მდივანი მე არ მყავდა. 2 საათი ვილაპარაკე ტელეფონზე და შინ წავედი.

***– ალბათ, ბლოკნოტი იდეებით იყო სავსე.***

– არა, შიგ არაფერი ეწერა. კუვეიტში ერთი მეგობარი მყავდა. განვიხილეთ იქ ამხანაგური შეხვედრების ჩატარების იდეა. 20.000 მარკა იყო მაქსიმუმი მაშინ, რისი მიღებაც შეიძლებოდა გერმანიაში ჩატარებული მატჩის შემოსავლით. ჩვენი ბრუნვა იმ დროს 12 მილიონს აღწევდა, გვყავდა სულ 20 თანამშრომელი, ახლა კი ბაიერნში 1.000 კაცია დასაქმებული.

***– თქვენ 27 წლის იყავით, როცა მენეჯერი გახდით.***

– პირველად მუხლი სერიოზულად 1975 წელს დავიზიანე. მაშინ ჩემპიონთა თასის ფინალში ლიდსთან ვითამაშეთ. 23 წლის ვიყავი. იმ დროს მენისკის ტრავმა ძალიან სერიოზულ დაზიანებად ითვლებოდა. ახლა 14 დღეში მწყობრშია ფეხბურთელი... თავიდანვე მინდოდა მენეჯერობა, მწვრთნელობაზე არასოდეს მოფიქრია.

***– რატომ?***

– ალბათ, იმიტომ, რომ ჩემში ყოველთვის იყო მენეჯერული თვისებები. სამხრეთ ამერიკაში ყოფნის დროს სასტუმროს ანგარიშებს ვასწორებდი. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

***– რა იყო თქვენი პირველი ნაბიჯები მენეჯერულ პრაქტიკაში?***

– დიდ ქვეყნებში დავფრინავდი, ვეცნობოდი საფეხბურთო სპეციფიკას. ეს დიდი გამოცდილება იყო.

***– მაშინვე იცოდით, რომ სატელევიზიო საკითხი ამხელა მნიშვნელობას შეიძენდა?***

– ვიცოდი და ამ თემაზე რომ ვლაპარაკობდი, მახსოვს, ბევრი იცინოდა. შტუტგარტის პრეზიდენტ გერჰარდ მაიერ-ფორფელდერთან ერთად დავაარსე ჯგუფი. გვინდოდა, 50 მილიონი მიგვეღო შემოსავალი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ 20 მილიონი მივიღეთ და ვიღაცამ ჩათვალა, რომ ეს ძალიან ცოტა იყო.

***– დღეს რომ 27 წლის იყოთ და 67 წლის ჰიონესის ჭკუა გქონდეთ, სხვანაირად თუ გააკეთებდით რამეს?***

– მაშინ შედარებით ხისტი ვიყავი. მინდოდა, ბაიერნი მწვერვალზე მენახა. ლეგენდარული დისპუტები გვქონდა ვერდერის, გლადბახისა და სხვა კლუბების მენეჯერებთან.

***– თქვენ თავის დროზე დიდი უთანხმოება გქონდათ ვერდერის მენეჯერ ვილი ლემკესა და კრისტოფ დაუმთან. ეს სტიმულად გჭირდებოდათ?***

– მინდა ვაღიარო, რომ ამ პოლემიკამ ბაიერნი უფრო საინტერესო გუნდი გახადა. ჩვენ გვჭირდებოდა ერთგვარად მეტი ცნობადობა, მეტი ინტერესი.

***– რატომ ხდება ისე, რომ ბაიერნი ზოგადად უკონკურენტოა გერმანიაში, დორტმუნდიც კი ვერ ჩამოყალიბდა კონკურენტად...***

– ახლა ისინი სერიოზული ოპონენტები არიან. მათ ამჟამინდელი მმართველების ხელში შეიძინეს ის სტაბილურობა, რომელიც ჩვენ მუდამ გვქონდა. მე უკვე 40 წელია, აქ ვარ. მერე მოვიდნენ რუმენიგე და ბეკენბაუერი...

***– სტაბილურობა წარმატების გარანტიაა?***

– თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ჩვენ შედარებით ცუდი სეზონები გვქონდა მაშინ, როცა ხშირად ვცვლიდით მწვრთნელებს.

***– ჰიონესი, ბეკენბაუერი, რუმენიგე – ასე მნიშვნელოვანია, რომ ბაიერნის სათავეებთან იყვნენ მისი ყოფილი ფეხბურთელები?***

– ეს გუნდს უხდება. რა თქმა უნდა, ოდესმე ჩვენ წავალთ. დღეს შანსი აქვთ ახალგაზრდებს... თუნდაც ჰასან სალიჰამიჯიჩს.

***– მაგრამ თქვენს მემკვიდრედ უფრო ოლივერ კანს ახსენებენ.***

– ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება, მაგრამ არ ვჩქარობთ. რუმენიგეს 2021 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი.

***– როგორ დაახასიათებდით კანს?***

– ის ძალიან გაიზარდა მას შემდეგ, რაც კარიერა დაასრულა. შესანიშნავი იყო სატელევიზიო ექსპერტის ამპლუაში. დაასრულა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი.

***– კანთან დაკავშირებით საუბარი იყო გამოსაცდელ ვადაზე.***

– ჩვენ ვგეგმავთ, რომ ამ ვადის ათვლა დაიწყოს 2020 წლის 1 იანვარს.

***– რას იტყვით ლუკას ერნანდესის ტრანსფერზე?***

– სარეკორდო ტრანსფერია. 80 მილიონი ევრო გადავიხადეთ! ზოგმა ირონიულად ჩაიცინა. მაინტერესებს, რას იტყოდნენ, კილიან მბაპე რომ გვეყიდა?

***– გინდათ, რომ მბაპე ბაიერნში ნახოთ? პარი სენ-ჟერმენმა 2 წლის წინ მასში თითქმის 180 მილიონი გადაიხადა.***

– მბაპეს ახლავე შევიძენდი, უბრალოდ, ჩვენ არ გვაქვს საამისო ფინანსები.

***– შეიძლება, ფეხბურთელი 200 მილიონ ევროზე მეტი ღირდეს?***

– საუბარი არ არის იმაზე, ღირს თუ არა ამდენი მბაპე. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება გადაიხადო ამხელა ფული ერთ ფეხბურთელში და მერე არ გქონდეს ფინანსური პრობლემები!

***– ნიკო კოვაჩზე გკითხავთ.***

– მე მომეწონა, როგორ გამოიყვანა მან გუნდი კრიზისიდან ნოემბერში. ჩვენ მოთმინება უნდა ვიქონიოთ. არ დაგვავიწყდეს, ჩვენ ახლა არიენ რობენი და ფრანკ რიბერი უნდა შევცვალოთ.

# ბუნდესნაკრებში ლიოვს არ ახსენებენ



2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იოაჰიმ ლიოვს კონტრაქტი უმთავრდება. სავარაუდოდ, გერმანელი სპეციალისტი ბუნდესნაკრებთან მუშაობას დაასრულებს. ვინ უნდა შეცვალოს ლიოვი, გერმანიაში ამაზე საუბარი უკვე დაწყებულია.

ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში, ესპანეთთან მარცხის (1:2) შემდეგ, ბევრმა გამოცემამ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი შტეფან კუნცი ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელა. ფაქტია, რომ 56 წლის კუნცის ხელში გერმანიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პროგრესი განიცადა – 2017 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ახლა კი ზედიზედ მეორედ გავიდა ფინალში. ლოგიკურია, რომ კუნცს გერმანიაში უკვე მოიაზრებენ ლიოვის შემცვლელად.

თავად კუნცი ამ თემაზე არ საუბრობს, მაგრამ, ვნახოთ, რას ფიქრობს თავად **ლიოვი**:

– რა თქმა უნდა, კუნცს აქვს პოტენციალი. 3 წლის განმავლობაში შტეფანმა უდიდესი სამუშაო შეასრულა. მისი გუნდი პროგრესირებს, ორჯერ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ფეხბურთელები, რომლებიც ჩემთან მისი გუნდიდან მოდიან, ყოველთვის კარგად არიან მომზადებულები.

კუნცის გარდა, **ლიოვი** გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კიდევ ერთ მწვრთნელს მოიაზრებს:

– გერმანიის საფეხბურთო კავშირში ახლა 2 სპეციალისტი გვყავს, რომლებსაც ეროვნული გუნდის გაწვრთნა შეუძლიათ: კუნცი და მარკუს ზორგი. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ, დროებით შეცვალა და ისიც უაღრესად კომპეტენტურია. ცხადია, ჩემი გადაწყვეტი არ არის, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში გერმანიის ნაკრებს, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ორივეს ვუწევ რეკომენდაციას. ორივე ბრწყინვალე სპეციალისტია.

საფეხბურთო გერმანიაში ბევრს მიაჩნია, რომ ლიოვის შემდეგ გერმანიის ნაკრებს იურგენ კლოპმა უნდა ჩაიბაროს, მაგრამ ლიოვს ლივერპულის მწვრთნელის სახელი არც კი წამოსცდენია.

გერმანიის ნაკრების მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** კი ამბობს:

– ვხედავთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში კარგი მწვრთნელები გვყავს. ზორგმა ლიოვი შესანიშნავად შეცვალა, როცა იოგი ავად იყო. კუნცს უკვე საერთაშორისო გამოცდილება უმაგრებს ზურგს. თუმცა, ახლა ამ თემაზე სერიოზულად არ ვფიქრობ. მიმაჩნია თუ არა კუნცი ლიოვის ღირსეულ შემცვლელად? ამ კითხვას მაშინ ვუპასუხებ, როცა აქტუალური იქნება.

საინტერესოა, რომ იურგენ კლოპს, რომელმაც ლივერპულთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო და დღესდღეობით საუკეთესო გერმანელ მწვრთნელად მიიჩნევა, არც ბირჰოფი ახსენებს. პირიქით, ბირჰოფი ამბობს, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირშივე ჰყავთ კარგი მწვრთნელები. გამოდის, რომ ლიოვს ან კუნცი შეცვლის ანაც ზორგი?

ფაქტი ის არის, რომ ბუნდესმწვრთნელის თანამდებობისთვის ბრძოლა დაწყებულია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბითაძეს ვიზა გამოელია, ფაჩულიას გოლდენს უწინასწარმეტყველებენ



გოგა ბითაძე ამერიკაში პირველ პრობლემას უკვე წააწყდა – ინდიანა პეისერსის 19 წლის ახალწვეულს სავიზო პრობლემები შეექმნა.

როგორც ინდიანაპოლისური კლუბის ვებგვერდი გვამცნობს, ქართველი ცენტრი გუნდთან ერთად ლას ვეგასში, სადაც პეისერსმა საზაფხულო ლიგისთვის ვარჯიში დაიწყო, არ იმყოფება.

ინდიანა ტურნირში შაბათს, 7 ივლისს ჩაერთვება, გოგა კი მემფისთან პირველ მატჩს გამოტოვებს.

კლუბის ვებგვერდის ცნობით, ქართველი კალათბურთელი ლას ვეგასში ჩასვლას მომდევნო მატჩისთვის შეძლებს, საზაფხულო ლიგა კი 21 ივლისამდე გაგრძელდება.

სასიამოვნო ინფორმაცია ვრცელდება ზაზა ფაჩულიაზე. 35 წლის ქართველი კალათბურთელი, შესაძლოა, ისევ გოლდენ სტეიტ უორიორსში დაბრუნდეს. შეგახსენებთ, ზაზამ გოლდენ სტეიტთან ერთად ნბა-ს ჩემპიონი ორჯერ გახდა. გასული სეზონი ქართველმა ცენტრმა დეტროიტში გაატარა, ხოლო „მეომრები“ ფინალში დამარცხდნენ ტორონტოსთან.

ზაზა ამჟამად თავისუფალი აგენტია და კლუბს ეძებს. ენბისიმ კი დაასახელა 7 თავისუფალი აგენტი, რომლებიდანაც ერთ-ერთი შესაძლოა უორიორსმა ამ ზაფხულს დაიმატოს. გამოცემის ჩამონათვალში ფაჩულიასთან ერთად დასახელებულნი არიან: ტაისონ და უილსონ ჩანდლერები, კოსტა კოფუსი, პატრიკ მაკკოუ, გრეგ მონრო და ნენე.

# 7-კაცა ნაკრები ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს




საქართველოს ეროვნული 7-კაცა ნაკრები 13-14 ივლისს საფრანგეთში, ქალაქ კოლომიეში 2020 წლის ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის იბრძოლებს.

ჩვენმა გუნდმა ეს უფლება ევროპის გრან პრის პირველ ეტაპზე მეათე ადგილის დაკავებით მოიპოვა. მოსკოვის ეტაპი პარალელურად ოლიმპიური თამაშების შესარჩევის შესარჩევი ტურნირიც იყო და საფრანგეთის საგზურს 9 გუნდი იღებდა. რადგან ინგლისი და უელსი ოლიმპიადაზე გაერთიანებული სამეფოს, დიდი ბრიტანეთის სახელით გამოდის, საქართველო 9 მოწინავეს შორის მოხვდა საფრანგეთის, ირლანდიის, ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის, პორტუგალიის, იტალიის და რუსეთის ნაკრებებთან ერთად.

ამ 9 გუნდს კოლომიეში დაემატება „ალაფის“ 2 მოწინავე – ლიეტუვა და უკრაინა, რომლებიც გაისად გრან პრიზეც დაწინაურდებიან. ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის მე-12 მონაწილე უნგრეთია, რომელმაც წელს „კონფერენც დივიზიონი“ მოიგო.

საქართველო საფრანგეთში გ ჯგუფში, ინგლისის, გერმანიის და ლიეტუვას ნაკრებებთან ითამაშებს. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 13 ივლისს გაიმართება.

ა ჯგუფში საფრანგეთი, პორტუგალია, იტალია და უნგრეთი, ხოლო ბ ჯგუფში ირლანდია, ესპანეთი, რუსეთი და უკრაინა მოხვდნენ.

14 ივლისი ფლეი ოფების დღეა და თასის მეოთხედფინალში სამივე ჯგუფის 2-2 საუკეთესო, ასევე 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. ტრადიციულად, ტურნირზე ყველა ადგილი გათამაშდება და გამარჯვებული ნაკრები ტოკიოს საგზურს მიიღებს, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები ოლიმპიადის შესარჩევ, საკონტინენტთაშორისო რეპეშაჟში გადაინაცვლებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სელინ დიონი საზოგადოების წინაშე ცალ-ცალი ფეხსაცმლით წარდგა



კანადელი მომღერალი სელინ დიონი საზოგადოებაში სხვადასხვა ფერის ფეხსაცმლით გამოვიდა.

პაპარაცებმა ის პარიზში ბრიტანული ბრენდის Jimmy Choo-ს ცხვირწვეტიანი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დააფიქსირეს. ერთი ღია ყვითელი და თეთრი ფერის ტყავისგან იყო დამზადებული, ხოლო მეორე თეთრი და შავი ფერის ტყავისგან.

ფეხსაცმლის გარდა, დიონს ეცვა შავი ფერის ორბორტიანი ჟაკეტი თეთრი საყელოთი და ღილებით, ასევე ძვირფასი ყვითელი მინი-კაბა. ამ ყოველივეს მომღერალმა შეუხამა მარგალიტის საყურეები და 90-იანი წლების სტილის სათვალე.

# კიმ კარდაშიანის საცვლებმა პოლიტიკოსები აალელვა



იაპონიის ქალაქ კიოტოს მერმა დაისაკუ კადოკავამ რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიანს ოფიციალური წერილი გაუგზავნა თხოვნით, სახელი შეუცვალოს ქვედა საცვლების მის ახალ ბრენდს „კიმონო“. წერილის სრული ტექსტი ინგლისურ ენაზე ფეისბუქში მერის გვერდზე გამოქვეყნდა.

– პატივცემულო კიმ კარდაშიან-უესტ, გთხოვთ გადახედოთ თქვენ გადაწყვეტილებას სიტყვა „კიმონოს“ თქვენს სავაჭრო მარკაში გამოყენების თაობაზე. კიმონო – ეს ტრადიციული ეთნიკური სამოსია, რომელიც ჩვენი წინაპრების თავდაუზოგავი ძალისხმევით იქმნებოდა. ისინი თავს ევლებოდნენ ამ კულტურას და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ. გარდა ამისა, ეს მათი ოსტატობის ნაყოფია, რომელიც გამოხატავს იაპონელების სილამაზეს, სულიერებას და ფასეულობას, – დაწერა კადოკავამ.

მან ასევე დაამატა, რომ კიმონოს ატარებენ არა მხოლოდ იაპონელები, არამედ უამრავი ტურისტიც, რომლებიც კიოტოსა და ქვეყნის სხვა ქალაქებს სტუმრობენ. მერი აცხადებს, რომ ეს იმის დადასტურებაა, რომ ტრადიციას პატივს სცემენ და უყვართ მთელ მსოფლიოში.

კიოტოს მერმა ისიც აღნიშნა, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ კიმონოს კულტურა იუნესკომ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიყვანოს. ბოლოს კი მან კიმ კარდაშიანი კიოტოში მიიწვია, რათა ადგილზე გაეცნოს მის კულტურას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წერილი ფოსტით ელექტრონულ მისამართზე კიმ კარდაშიანს ჯერ კიდევ 28 ივნისს გაეგზავნა, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღიათ.

# წარუმატებელმა ცდამ გაკვეთილზე მოსწავლეს სახე დაუწვა




კალიფორნიელმა სკოლის მოსწავლემ სახის ძლიერი დამწვრობა მიიღო გაკვეთილის დროს სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარებისას მომხდარი აფეთქების შედეგად.

ინციდენტი ქალაქ ენსინიტასის დაწყებით სკოლაში მოხდა. 13 წლის მოსწავლე პრისტ რივერა სამეცნიერო ექსპერიმენტს „ცეცხლოვანი გველი“ ატარებდა (ცდის დროს მოსწავლეები ქვიშას სპირტით აჯერებენ, შემდეგ მას აყრიან სოდას, შაქრის პუდრას და ცეცხლს უკიდებენ).

რივერას თქმით, მასწავლებელმა ცეცხლს მეტისმეტად ბევრი სპირტი დაუმატა, რის შედეგადაც ქვიშა პირდაპირ მის სახესთან აფეთქდა. მოსწავლის თქმით, მისი მთელი სახე ერთ წამში ცეცხლის ალში გაეხვა.

მოსწავლე სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას სახესა და კისერზე ოთხი ოპერაციის გადატანა მოუხდა.

# მოზარდმა ცეცხლმოკიდებული სახლიდან ინვალიდი ძმა გამოიყვანა



ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ კლეიტონში 16 წლის ბიჭმა ხანძრისგან და და სამი ძმა გადაარჩინა, რომელთაგან ერთ-ერთი ინვალიდია.

ახალი ამბების რეპორტიორმა ტაიშა ფერნანდესმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე მოყვა მამაცი მოზარდის იუდერიუს უოკერის შესახებ, რომელმაც ცეცხლმოკიდებული სახლიდან ძმები და და გამოიყვანა. როგორც კი მან თავის ოთახში ცეცხლი შენიშნა, სამსახურში მყოფ დედას, კრიშანდლ გეიტერს დაურეკა.

გეიტერს ტელეფონში ესმოდა, თუ როგორ გააგზავნა მან თავისი 13 წლის ძმა დანარჩენი ბავშვების გასაღვიძებლად. ამ დროს კი თავად უოკერი ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ ჯაკარის მივარდა.

– ცეცხლის ენებზე გადახტომა მომიხდა, რათა ძმამდე მიმეღწია, – იხსენებს მამაცი მოზარდი, – მოწყობილობებისგან ჩავხსენი და სავარძლიდან ამოვიყვანე.

ხანძრის შედეგად ოჯახის ორი ძაღლი დაიღუპა, კუები გადარჩნენ. ოჯახმა თანხის შეგროვება დაიწყო პირველადი მოხმარების ნივთების შესაძენად, მათ შორის ინვალიდის ეტლისაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბედნიერი სიძე ქორწილის მეორე დღეს გარდაიცვალა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ გოლდ-კოსტში სასიკვდილო დაავადებით შეპყრობილმა მამაკაცმა გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე იქორწინა.

22 წლის მორაგბე ნავარ გერბერტს თავის ტვინის სიმსივნე დაახლოებით ცხრა თვის წინ დაუდგინეს. მისი მდგომარეობა სწრაფად უარესდებოდა და ექიმები დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებდნენ. მამაკაცმა, როდესაც მიხვდა, რომ გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, გადაწყვიტა, თავის შეყვარებულ მაია ფალვასერზე დაქორწინებულიყო.

წყვილმა სანაპიროზე მდებარე ბაღში იქორწინა. სტუმრების თქმით, ცერემონია მეტად გულისამაჩუყებელი იყო და ისინი არასოდეს დაივიწყებენ იმ მომენტს, როდესაც სიძის მეგობრებმა ის ინვალიდის ეტლით შემოიყვანეს და პატარძალმა მას სიყვარული შეფიცა. ქორწილს ასევე ესწრებოდა წყვილის შვილი, რომელიც მალე ერთი წლის გახდება.

ნავარ გერბეტი ქორწილის მეორე დღეს გარდაიცვალა. მისმა ოჯახმა ფულის შეგროვება დაიწყო მისი სურვილისამებრ ახალ ზელანდიაში გადასასვენებლად. მათ^მოკლე დროში 89 ათასი დოლარის შეგროვება მოახერხეს. გარდაცვლილის ოჯახის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა მრავალმა უცნობმა ადამიანმა გამოხატა, მათ შორის რაგბის კლუბმა, რომელშიც გარდაცვლილი თამაშობდა.

# ასტროპროგნოზი

## 3 ივლისისთვის



**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 3. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 4. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 5. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ხეობა კახეთში; 11. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 12. გოეთეს ტრაგედია; 13. ხავერდის მსგავსი, რბილხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. დაბადების მოწმობა; 15. მეზღვაურთა, მეთევზეთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 17. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 19. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

**თარაზულად**: 5. ოდესის ძველი სახელწოდება; 6. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. გურიაში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. იაპონელი მოდელიერი; 10. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 11. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 13. შტატი აშშ-ის აღმოსავლეთში; 14. მღრღნელი ჭიის, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 16. სამეჯლისო ცეკვა; 18. ფრანგი მწერალი, რომან „იზას!“ ავტორი; 20. უძველესი ქართული სამეფო; 21. ქართველი ველომრბოლელი მსოფლიო ჩემპიონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა:**

**შვეულად:** 1. სკოპიე; 2. რთველი; 3. სენგერი; 4. მეტეორი; 5. ბაკარდი; 7. გუდაური; 11. ფურკა; 12. საირმე; 13. ბოკვერი; 14. ხალვაში; 15. მაიამი; 17. მწყერი; 19. რალი.

**თარაზულად:** 5. ბასკეთი; 7. კაბერნე; 8. ლიდო; 9. სეიკო; 10. როლერი; 11. ფიცი; 13. ბილინგვა; 14. ხორგო; 16. ომარი; 18. ლავრა; 20. შაბლონი; 21. მატრონა.

**კროსვორდი ბ:**

**შვეულად:** 1. ჰიმენე; 2. გრინგო; 3. ქურხული; 4. დიადორა; 5. ტარაბუა; 7. მეჯლისი; 11. აპოლო; 12. ბისტრო; 13. ფილიპსი; 14. კორპუსი; 15. მაკაბი; 17. უზნაძე; 19. რადა.

**თარაზულად:** 5. ტაპიორი; 6. იაგუნდი; 8. გაჯი; 9. დურდო; 10. ბოლერო; 11. აურა; 13. ფიტოფაგი; 14. კლოდი; 16. ხუნტა; 18. მზისა; 20. სარდელი; 21. ბეიძინი.

## ქეთი დოლიძეს აგინებენ



რეჟისორ ქეთი დოლიძეს აგინებენ. მისი თქმით, შეურაცხყოფას რობერტ სტურუასთან ერთად ნიჭიერთა ათწლედის ყოფილი ხელმძღვანელი თამუნა შენგელია აყენებს:

– ძალიან მომწონს, რომ მთელი ცხოვრება მოსკოვში მაცხოვრებელი ქალბატონი თამუნა შენგელია, რობერტ სტურუასთან ერთად მაგინებს!

რა ვქნათ ახლა, რომ ვერ მოინელა რურუა და ჭკუას ანთხლევს ნაცებზე?!

აქ რატომ არ ცხოვრობთ, ქალბატონო?!

თქვენი ძმა ვისი ფულით იღებს თავის ფილმებს?!

რაღაცით რატომ ვერ დაემსგავსეთ თქვენს მშვენიერ დედას ან მამას?!

თქვენი ბავშვების მშობლიური ენაც ხომ უფრო რუსულია, ვიდრე ქართული, ღმერთმა კარგად გიმყოფოთ და თქვენი ძმისშვილებიც მიხალკოვის ოჯახში იზრდებიან?!

ასე როგორ გადაგვარდით ნაცების სიყვარულით, რომ ველარაფერს ზომავთ?!

რობიკო სტურუასთან ერთად რომ გამლანძღეთ, ამისთვის დიდი მადლობა!

ახლა კი „დავაი, დასვიდანია“!

## „მარაბდობა“ ტრადიციულად ჩოხოსნებმა აღნიშნეს



საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასმა, რომლის დარბაზის მეთაური პროფესორი გოგი დოლიძეა, პირველ ივლისს ტრადიციულად აღნიშნა მათ მიერვე 2008 წელს აღდგენილი ,,მარაბდობის“ სახალხო დღესასწაული თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში.

სულ რაღაც 6 წელი და მთელი ჩვენი ხალხი ბუნებრივი სიამაყით იდღესასწაულებს მარაბდის ისტორიული ბრძოლის მეოთხასე წლისთავს და ერთხელ კიდევ მიაგებს ღირსეულ პატივს ლეგენდარულ 9 ძმა ხერხეულიძესა და მათ უახლოეს თანამებრძოლებს, რომლებიც მადლიერმა დედაეკლესიამ სამშობლოს წინაშე გამოჩენილი თავგანწირვისათვის წმინდანებად შერაცხა.

ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული წლევანდელი ,,მარაბდობაც“, რომელიც დაამშვენეს ადგილობრივმა მოსწავლეებმა, სოფელ ერედვის კულტურის ცენტრთან არსებულმა საესტრადო სიმღერების სტუდიამ ,,სხივები“, სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, მაგრამ, როგორც შარშანდელ ,,მარაბდობაზე“, განსაკუთრებით ისახელა თავი 4 წლის დეკლამატორმა კატერინა თედორაძემ. მან ჩვეული ბავშვური მგზნებარებით წაიკითხა მუხრან მაჭავარიანის შესანიშნავი ლექსი ,,იარონ!“

ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ აღდგენილი ,,მარაბდობა“ წლიდან წლამდე სულ უფრო მასშტაბური ხდება და მასში მონაწილეობის სურვილს მეტი ადამიანი გამოთქვამს.

## ლაშა ბაქრაძე: „რუსთაველზე მდგომ ხალხს წაუყრუეს!“



ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელს ლაშა ბაქრაძეს მიაჩნია, რომ რუსთაველზე მდგომ ხალხს წაუყრუეს:

– რუსთაველზე მდგომ ხალხს წაუყრუეს!

ჰგონიათ, მხოლოდ ეს ხალხია აღშფოთებული იმით, რაც მოხდა და ხდება, ჰგონიათ, რომ დაიღლებიან და დაიშლებიან და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. მიტინგი და დემონსტრაცია არაა ყველასთვის მისაღები გამოხატვის ფორმა. ისედაც, მთელი თბილისი და საქართველო ვერ გამოვა რუსთაველზე.

ამიტომ გთხოვთ, ვისაც აღელვებს საქართველოს ბედი, ვისაც უნდა უკეთეს ქვეყანაში იცხოვროს და აღშფოთებულია, როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი – დღეიდან, ყოველ 2 საათზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სოფლად და ქალაქად, მანქანის სიგნალებით, საყვირებით, სასტვენებით, ხმაურით გავარღვიოთ სიყრუის კედელი.

დავანგრიოთ კედელი ხალხსა და ყრუ ხელისუფალთ შორის მთელ საქართველოში, ისე, როგორც საყვირების ხმებმა დაანგრია ბიბლიური იერიქონის კედლები.

## გიორგი შველიძე ამერიკის კინოაკადემიის წევრად აირჩიეს




ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკის კინოაკადემიის წევრად აირჩიეს.

გიორგი ოპერატორია ზაზა ხალვაშის ფილმისა „ნამე“, რომელიც საქართველომ ოსკარზე წარადგინა.

გიორგი შველიძე რამდენიმე თვის წინ ამერიკის კინემატოგრაფისტთა ჯილდოს მფლობელი გახდა, ახლა კი იმ 842 რჩეულ ხელოვანს შორის დასახელდა, რომლებიც ამერიკის კინოაკადემიის წევრები იქნებიან.

უცხოური პრესის ინფორმაციით, ახალი წევრები 59 ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მათ შორის კი 50 პროცენტი ქალბატონია.

ამერიკის კინოაკადემიის ახალი წევრები გახდნენ ცნობილი მსახიობები, ოპერატორები, მხატვრები, რეჟისორები, ვიზაჟისტები, მუსიკოსები, პროდიუსერები, ანიმატორები, მათ შორის ადელი, ლედი გაგა, ენი ლენოქსი, ტომ ჰოლანდი, ჯეიმი ბელი...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ტაბაღუა-ჩიქოვანის გახსენება



დღეს ჩემი უსაყვარლესი მეუღლე მიმოზა ტაბაღუა-ჩიქოვანი სამი ღირსშესანიშნავი თარიღის იუბილარია: დაბადებიდან 70 წელს, ქორწინებიდან – 45-ს და პედაგოგიური მოღვაწეობის – 35-ე წელს აღვნიშნავთ. ჩემო ძვირფასო და მონატრებულო, მუდამ მომღიმარო, ხალისიანო, იუმორით სავსე და ყველასათვის სანატრელო, უკეთილშობილესო და საოცრად თბილი გულის პატრონო, ვაჟკაცური ბუნებით გამორჩეულო, ყველას პატრონო და მომფერებელო, ყველას გვიყვარდი და გვიყვარხარ. 35 წელი ემსახურე მომავალი თაობების აღზრდას თბილისის მე-60 საჯარო სკოლაში და დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭე როგორც პედაგოგთა კოლექტივში, ასევე აღსაზრდელებში. ერთად ყოფნის 45 წლის მანძილზე იმდენი ნაწვალები ხარ ჩვენი ცხოვრების შექმნაზე, რომ ადამიანთა მოდგმას შეგაძულებს, მაგრამ არც ისე მდიდრები ვიყავით, სულ ჩვენით ვწვალობდით ყველაფერს სხვათა შეუწუხებლად, რა გადავიტანეთ, ამას რომ მივაღწიეთ, ეს მხოლოდ შენ და მე ვიცით, მაგრამ ის ბევრს არ ახსოვს, შენი სულისმიერი უახლოესი ადამიანების გარდა, ჭირში და ლხინში გვერდში მდგომის. როგორ მოვაღწიეთ და მოვედით 2018 წლის 18 დეკემბრამდე? დრომ და ასეთმა ცხოვრებამ ისე დაგვაშორა ერთმანეთს, ძნელია გაიგოს ვინმემ ის, რაც ჩემს თავს დაატყდა, ბუნებრივია, სხვისთვის ეს არის წუთიერი შოკი, ჩემთვის კი, ტკივილი შეუხორცებელი. შენი თავგანწირული შრომით დიდი კვალი დატოვე შვილებში, შვილიშვილებში, სისხლხორცნათესავებსა და მეგობრებში; 6 თვე და 15 დღეა, რაც უფალმა ინება შენი და ჩემი ფიზიკურად განშორება, მაგრამ სულიერად სულ ერთად ვართ. შენ ღირსეულად იცხოვრე მეტად სხვისთვის, ვიდრე შენთვის, ჩემი წარსულის ტკბილო მოგონებავ და მომავლის მოურჩენელო ტკივილო! მე და შენ ყოველთვის სიხარულით ველოდით 3 ივლისს – შენს დაბადების დღეს. წელს 70 წელი შეგისრულდებოდა და უნდა გვეზეიმა. შენი იუბილეს აღნიშვნით იამაყებდა ყველა შენი მოსიყვარულე ადამიანი, დღეს კი, შენი იუბილეს აღნიშვნა შენ გარეშე გვიწევს, მაგრამ ვფიცავ შენს სახელს, შენს სპეტაკ სულს, როგორც ეკადრება შენსა და ჩემს მარადიულ სიყვარულს, როგორც შენს გაგიხარდებოდა, ისე მოგილოცო დაბადების დღე იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ჩემთან ერთად შენი არსებობით ხარობდნენ, ხოლო შენინაადრევი წასვლით კი, ჩემთან ერთად გულდაწყვეტილები არიან. მოვიჩქარი შენსკენ, ოღონდ შენ დამხვდი კარგად, სულით და ფიზიკურად ძლიერო, ჩემო სანატრელო მიმოზა!

გილოცავ დაბადების დღეს და ცათა სასუფეველში გისურვებ მშვიდ ცხოვრებას.

ღამეა თუ დღე არის, არ მტოვებს შენზე ფიქრები, სხვების არ ვიცი, ჩემთვის კი, მუდამ ცოცხალი იქნები.

უფალი იყოს შენი სპეტაკი და ლამაზი სულის მფარველი.

**შენი გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## გელა დაიაურის ფოტო საზოგადოებამ გააკრიტიკა



პოეტ გელა დაიაურის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტო, სადაც ის თვალზე ხელს იფარებს, საზოგადოებამ გააკრიტიკა:

– ვცდილობდი, პასუხი არ გამეცა ჩემს ხუმრობით დადებულ სურათზე აგორებული ამბებისთვის.. ახლა კი მოგმართავთ „კლავიატურის“ საქართველოვ, როგორც ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა გიწოდათ. მეთერთმეტე დღეა აქციაზე დავდივარ... გაარკვიეთ და იკითხეთ, სად ვმუშაობ.. რას ვაკეთებ.. ვის ვეჭიდავები... ცალი თვალიდან მხედველობა არ მაქვს და ვხუმრობდი აქციაზე, სალ თვალს დავხუჭავ და შევვარდები პარლამენტში-თქო. ეს სურათიც ამ ხუმრობის გაგრძელებად ჩავთვალე... მაპატიონ იმ ადამიანებმა, ვინც დაზარალდა, მაგრამ მათ გამო ვარ აქციაზე.

თქვენ კი... ვინც ინტერნეტში და კომპიუტერებთან ხართ ვაჟკაცები... შეგიძლიათ, მომწეროთ... რამდენიმეს მივწერე, მაგრამ არ მპასუხობენ ჯერჯერობით.

რამ გაგაბოროტათ? რამ გადაგაგვარათ ასე? ღმერთის არ გეშინიათ? მეცოდებით, დედას გეფიცებით, თუ არ მეცოდებოდეთ... მანდილოსნებო, გინება ქართველ კაცს არ უხდება და უშვერი სიტყვების ხმარება. თქვენ კიდე მოგილიათ პირები და საქვეყნოდ წერთ ისეთ სიტყვებს, ქალს კი არა, კაცს რომ ღირსებას უკარგავს. იქნებ არც უნდა მეპასუხა თქვენთვის, იმიტომ, რომ არ ღირხართ პასუხად, მაგრამ მინდა ერის ჯანსაღმა ნაწილმა იცოდეს ჩემი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. თქვენსავით ფეისსტატუსებით და აქ ჭორაობით არ გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას. მე იქ ვდგავარ, სადაც საჭიროა.

## მაკა ჩიჩუას სიმღერა ინტერნეტჰიტია



საქართველოს ყოფილი პირველი ლედის მაკა ჩიჩუას სიმღერა „არასდროს!“ ინტერნეტჰიტი გახდა.

სიმღერა, რომელიც მსახიობმა 20 ივნისის ღამეს განვითარებულ მოვლენებს მიუძღვნა, დათო რაქვიაშვილთან ერთად სტუდიაში ჩაწერა. „შენ თუ წაგვართმევ თვალს, ჩვენ მაინც დავინახავთ მზეს, ერთად ვიპოვით გზას და არასოდეს დავნებდებით მტერს!“

სიმღერა რუსეთის ოკუპაციას გმობს და როგორც ტექსტშია ნათქვამი, „არ დავნებდებით რუსს!“

## სტეფანე მღებრიშვილი ემიგრანტებმა გააბრაზეს



მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი იმ ემიგრანტებმა გააბრაზეს, რომლებიც უცხოეთიდან საქართველოში დარჩენილ ქართველებს ჭკუას არიგებენ:

– მაინც ყველაზე ამაზრზენია, ტიპები ამერიკაში რომ არიან გაქცეულები, მიგდებული აქვთ საკუთარი ქვეყანა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით იქიდან განკარგულებებს რომ იძლევიან, როგორ უნდა მოვიქცეთ.

ჩამოა.ვით და აქ იყავით დიდგულზე ბლიად!

## მანანიკო ცენტერაძე საპროტესტო აქციის მონაწილეებს მხარდაჭერას უცხადებს



მუსიკალური შოუს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ გამარჯვებული, მომღერალი მანანიკო ცენტერაძე საპროტესტო აქციის მონაწილეებს მხარდაჭერას უცხადებს:

– „ნაციონალების პროვოკაციას არ ავყვები და იქ არ დავდგები“

„იიი, სატანისტები“

„იიიი ბავშვების გულწრფელი ემოციებით ისარგებლეს“

მსგავსი უბადრუკი არგუმენტები არის დაბალი ინტელექტის და ინფორმაციის დეფიციტის გამოვლინება, ასევე მარტივი ხერხი საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის თავიდან აცილების და გაპრავება იმ სიბნელისა, რა სიბნელეშიც სხედან და კლავიატურაზე აჩხაკუნებენ ამ საზიზღრობებს!

## უცხოელმა ჟურნალისტებმა საქართველოზე სპეციალური კლიპი გადაიღეს

– არ წახვიდეთ საქართველოში! – ასე ჰქვია ვიდეორგოლს, რომელიც უცხოელმა ჟურნალისტებმა გადაიღეს და მასში ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი თემებია გაერთიანებული.

კლიპის ორიგინალური სახელწოდება მომგებიანი მარკეტინგული სვლა აღმოჩნდა და ვიდეორგოლი ათასობით ადამიანმა ნახა. კლიპში წარმოდგენილია საქართველოს ულამაზესი ბუნება, ღირსშესანიშნაობები, კულტურული ძეგლები, ცეკვა, სიმღერა, სამზარეულო...

## ამბროლაურის კინოთეატრი სარიტუალო დარბაზად გადააქციეს



ამბროლაურის კინოთეატრი სარიტუალო დარბაზად გადააქციეს.

„საქორწინო დარბაზი“ – ეს წარწერა ამშვენებს ყოფილ კინოთეატრს.

ინფორმაცია და ფოტო დრამატურგმა ალექს ჩიღვინაძემ გაავრცელა:

– ეს ამბროლაურის კინოთეატრია, რომელიც ახლა სარიტუალო დარბაზადაა ქცეული.

ბებიამ, ვინც მითხრა თუ რა შენობა იყო, სევდიანად დაამატა, ისეთ კარგ ფილმებს უჩვენებდნენ, საერთოდაც ფილმს თუ უყურებ, კინოში უნდა უყუროო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 ივლისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.8237

ევრო — 3.1902

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5632

100 რუსული რუბლი — 4.4733

**ამინდის პროგნოზი 3 ივლისისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**25 ივნისიდან**



ჟიულ ვერნი

**20 000 ლიე წყალქვეშ**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**2 ივლისიდან**

ანა სიუელი

**მშვენიერი შავრა**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## იუმორი

მამაკაცი ფსიქიატრს შესჩივის:

– ექიმო, ხელები მიკანკალებს.

– სვამთ?

– ვსვამდი.

– ეწევით?

– ვეწეოდი.

– რა, თავი დაანებეთ?

– არა, ჯერ მხოლოდ ვაპირებ.

– აი, ხედავ, ორგანიზმს კი უკვე ეშინია.

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო დაბნეული ვხდები.

– მაგალითად?

– თავად წარმოიდგინეთ, ამ დილით, სადილის დროს, კვერცხს ვაკოცე, ხოლო ცოლს შუბლში ჩაის კოვზი ჩავცხე!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ამ ბოლო დროს ჩვენი მეზობელი ლამარა ყოველი შეხვედრის დროს იღიმება და რატომ?

– აბა, მე რა ვიცი?!

– იცოდე, თუ გავიგე, რომ ლამარას შენ გამო ეღიმება, მაშინ ჩვენი სადარბაზოს ყველა მამაკაცი შენ შეგხვდება ღიმილით.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ანჟელა, დღეს სექსი გქონდა?

– ერთხელ.

– ქმართან?

– მაშინ ორჯერ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბასილაშვილმა უიმბლდონზე ურთულესი შეხვედრა მოიგო



ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის უიმბლდონზე სტარტი ძალიან რთული გამოდგა. პირველ შეხვედრაში მან ბრიტანელი ჯეიმს ვარდი 5-სეტიან ბრძოლაში დაამარცხა, თან ქართველი სეტებში 0:2-ს აგებდა.

მესამე და მეოთხე სეტები ბასილაშვილმა 6:4 მოიგო, მეხუთეში კი მას დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა და საბოლოოდ ნიკამ 8:6 იმარჯვა.

აღსანიშნავია ის, რომ ბასილაშვილი ბევრ შეცდომას უშვებდა და ის ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება.

ამ გამარჯვებით ნიკამ 45 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

## ნეიმარი პსჟ-ში დაბრუნებას არ აპირებს



პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი თავის გუნდში პრესეზონისთვის განკუთვნილ შეკრებაზე დაბრუნებას არ აპირებს და ბრაზილიელი ამით ანიშნებს პსჟ-ს მფლობელებს, რომ მას გუნდის დატოვება სურს.

ბოლო პერიოდში ძალიან ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარს ბარსელონაში სურს დაბრუნება და კატალონიური გუნდიც ამის წინააღმდეგი არ არის. თვითონ ნეიმარს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო ბარსელონის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ნეიმარის ტრანსფერზე აქტიურად არ მუშაობს.

## კასილიასი კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს



პორტოს ესპანელი მეკარე იკერ კასილიასი კარიერის დასრულებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მან ორი თვის წინ გულის შეტევა გადაიტანა. იკერმა განაცხადა, რომ ის ხშირად გადის კონსულტაციას ექიმებთან და მათ უფლება მისცეს თამაშის, ამიტომ კასილიასი გაჩერებას არ აპირებს.

იკერის ცოლს, სარა კარბონეროს, ერთი თვის წინ კიბო აღმოუჩინეს, თუმცა დაავადება დაწყებით სტადიაშია, ამიტომ სიცოცხლისთვის საშიში არ არის.

კასილიასის თქმით, ის და მისი ცოლი მყარად დგანან ფეხზე და სირთულეების არ ეშინიათ.

## ბარსელონა დემბელეში 95 მილიონს ითხოვს



ბარსელონა მზად არის, უსმან დემბელე ბაიერნში გაყიდოს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაიერნი 95 მილიონს გადაიხდის. გერმანელებს კი ჯერჯერობით ამ თანხის გადახდა არ სურთ.

ბაიერნი მზად არის, დემბელეს ტრანსფერში 70 მილიონი გადაიხადონ და ეს თანხა ბარსელონისთვის საკმარისი არ არის.

2 წლის წინ ბარსელონამ დემბელე 105 მილიონ ევროდ იყიდა და მაშინ კატალონიურ გუნდს ამ ტრანსფერის გამო ბევრი წვალება დასჭირდა.

უსმან დემბელემ ორი სეზონის განმავლობაში ვერ შეძლო ბარსელონაში სტაბილურად დამკვიდრება, თუმცა მას ჰქონდა კარგი მომენტებიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემბელეს ტრავმებმა შეუშალეს ხელი.

## ბარსელონა ლაუტარო მარტინესით დაინტერესდა

მიმდინარე კოპა ამერიკაზე არგენტინის ნაკრებში ლაუტარო მარტინესი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა და მან უკვე 2 გოლის გატანა მოახერხა ამ ტურნირზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მესის იმდენად მოეწონა მისი თამაში, რომ მან ურჩია ბარსელონის ხელმძღვანელობას, ამ ფეხბურთელის ყიდვაზე დაფიქრდეს. მარტინესი ამჟამად მილანის ინტერის ღირსებას იცავს და ინტერი მის გაშვებას არ აპირებს. მარტინესის სატრანსფერო ფასი 80 მილიონი ევროა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 2. აფრიკული ანტილოპა; 3. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 5. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 6. ტკბილეული, დესერტი; 8. აეროპორტი ლონდონში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. აჭარული ხის სახლი; 19. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

**თარაზულად**: 1. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 9. იტალიური პელმენი; 10. გერმანული ავტომობილი; 12. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველი, მდიდრული ცხოვრება; 17. კბილების დაავადება; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ხან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




ბუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/